გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 17
(11 474)

2 – 5 მარტი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## კახი კალაძე: ვწუხვარ, რომ ტრავმის გამო „პარმას" წინააღმდეგ ვერ ვითამაშებ



7



## 100 დღე ძართეული საკრებულის სათავეში

2

### საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

**3-4**



### კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი



**გუშინ.** ბათუმში, „ბასკომ" თსუ მიიღო და გაიმარჯვა 100:83.

**დღეს.** ბათუმელები რუსთავის აზოტს უმასპინძლებენ.

## ამ დღეებში მსოფლიოს საფეხბურთო სტადიონებზე ბევრი ოფიციალური თუ ამხანაგური მატჩი გაიმართა...



## ფაბიო კაპელო ბედის ნებიერა იყო, მაგრამ სიმწარეც არაერთგზის იწვნია...

5

## თბილისელი ნატო კობიაშვილი ფარიკაობაში ირანის საერთაშორისო ტურნირიდან ოქროს მედლით და სპეციალური პრიზით დაბრუნდა...

2



5




## შაბათს, 3 მარტს, ჰოლიფილდი და რუისი WBA-ს ჩემპიონის ტიტულისათვის იბრძოლებენ

7



ჰოლიფილდი (მარცხნივ), დონ კინგი (შუაში) და ჯონ რუისი.



2

## ნოდარ ყურბანიძე (შუაში), სახელოვანი ვეტერანი წყალბურთელი, გამორჩეულად ყველასათვის საყვარელი პიროვნებაა

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

● **მიუნხენის „ბაიერნის" პრეზიდენტის ფრანც ბეკენბაუერის აზრით, ფრანგების წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში გერმანელთა ფიასკო განაპირობა ფორვარდ ბირხოფის უნიათო თამაშმა.**

**უკმაყოფილოა, აგრეთვე, გერმანიის ნაკრების მეკარე ოლივერ კანი. მან გააკრიტიკა გერმანიის საფეხბურთო კავშირი, შემდეგ მეტოქედ უნგრეთისა და სლოვაკეთის სუსტი ნაკრებების შერჩევის გამო.**

● **ინგლისის** ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მოგებამ ესპანეთთან 3-0 ოპტიმისტურად განაწყო მწვრთნელი სვენ-გორან ერიქსონი: „არ მოველოდი ინგლისელი ფეხბურთელების ასეთ კარგ თამაშს, ჩვენ აუცილებლად მოვიპოვებთ იაპონია-კორეის საგზურს!"

● **ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში კოლუმბიის საფეხბურთო ნაკრებმა ანგარიშით 3-2 დაამარცხა ავსტრალიელები. სამხრეთამერიკელები სამი ბურთის სხვაობით იგებდნენ, ბოლო წუთებში კი ორი გოლი მიიღეს და ლამის ხელიდან გაუშვეს გამარჯვება.**

● **ჩეხეთის** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ფრანციშეკ ხვალოვსკი გუშინ, საღამოს, პატიმრობიდან გაათავისუფლეს საწინდრით. ხვალოვსკის ბრალად ედება 17 მლნ. დოლარის ფინანსური მაქინაცია და 12 წლით პატიმრობა ემუქრება.

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 5 თვე დარჩა

SALT LAKE 2002
TM © 1997 SLOC 36 USC 380

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს 11 თვე და ერთი კვირა გვაშორებს

8–25 თებერვალი 2002 წ.

რედაქტორის სვეტი

# დრო და საქმე

## 100 დღე ქართული სპორტის საჭესთან

მნიშვნელოვან თანამდებობაზე მნიშვნელოვანი საქმეებისთვის გამწესებულ ხელმძღვანელს, დანიშვნის პირველი დღიდანვე აუთვლიან შემოქმედების დასაწყისს და როგორც კი გასრულდება 100 დღე, თვალს გადაავლებენ ხოლმე მის ნაღვაწ-ნაამაგარს. ასეთია ტრადიცია. ქართული სპორტის ახალი მესაჭისათვის მეასე დღე პირველი მარტი იყო, დღე დანარჩენივით თითქმის ჩვეულებრივი, მაგრამ დაძაბული მუშაობის ერთი პერიოდის დამაგვირგვინებელი, უკვე გარკვეული სიმაღლიდან გადასახედი.

ამთავითვე ვიტყვით: გამართლდა საზოგადოებრივი აზრი, რომ ქართული სპორტის თავკაცად მოდიოდა გამოცდილი, უნარიანი, ენერგიული, კომუნიკაბელური, თავმდაბალი, გარკვეულწილად ლმობიერი, მაგრამ, ამასთან, პრინციპული პიროვნება. ამ თვისებების დაბალანსებით, ახალი ხელმძღვანელი უკვე შინაური კაცი გახდა ჩვენი სპორტული სამყაროსთვის. თუმცა, მისთვის, როგორც ვეტერანი ხელბურთელისთვის, სპორტი ისედაც მუდამ ახლობელი იყო.

ქართულ სპორტს, ახალი საუკუნის და ახალი ოლიმპიური ციკლის დასაწყისში, უპირველესად, სტრატეგიული მიმართულების გამოკვეთა ესაჭიროებოდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ 100 დღეში, ესეც მოესწრო. დანარჩენი ამ სტრატეგიული კურსის შემადგენელია.

ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის პირველი ნაბიჯებიც წარმატებული გამოდგა – ახალი ხელმძღვანელის შეხვედრები ჩვენი სპორტული სამყაროს ცალკეული სტრუქტურების წარმომადგენლებთან, მათ შორის რეგიონების სპორტის მუშაკებთან კონტაქტების დამყარება-განმტკიცება კი, როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური მიმართულებით, უთუოდ მოიტანს სასურველ შედეგს საერთო ამოცანების სასიკეთოდ. „ერთიანობა და მხოლოდ ერთიანობა" – აი, რა არის კიდევ ნიშანდობლივი პირველ ნაბიჯებში. ჩვენმა სპორტულმა სამყარომ, სხვათა შესაშურად, გამორჩეულად მონოლითურად გამოიარა დაპირისპირებებისა და საზოგადოების გახლეჩის მძიმე წლები. ჩვენს სფეროში ერთეულთა „შემორიგების" პროცესი კი შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს. ზოგჯერ, ირაკლი მეძმარიაშვილი იტყვის ხოლმე, „საკმაოდ გრძელი ხელები მაქვსო" და ამ გამოთქმასაც თავისი „ალმზრდელობითი" დატვირთვა ენიჭება სადღაც მიყუჟულთათვის. საკადრო ცვლილებებმა გარკვეულწილად უნდა განმუხტოს და, ალბათ, ბოლოსაც მალე მოუღებს აქა-იქ ადრე თავჩენილ ერთეულ დაპირისპირებებს.

უკვე შეჩვეული ვართ, რომ ჩვენს ყოფაში, ყველა სფეროში მძიმე მემკვიდრეობა ხვდება ნებისმიერ ახალ ხელმძღვანელს. ირაკლი მეძმარიაშვილმა ქართული სპორტის პრობლემები, ცხადია, პირწმინდად გადაიბარა. მაგრამ მაინც მოახერხა, თანაც მოსვლისთანავე, „ცხელ გულზე", დაგეგმილთან შედარებით სოლიდურად გაეზარდა ქართული სპორტის ლუკმა, ქვეყნის მწირი ბიუჯეტიდან. თუმცა, სრულად მიღების შემთხვევაშიც კი, ეს ლუკმა ისე უნდა დანამცეცდეს, ვის როგორ წაადგება, კაცმა არ იცის. არადა, როგორ გინდა გერები გაიჩინო, რამდენიმე სპორტის სახეობის უპირატესად დაფინანსების ხარჯზე. აი, ესაა ყველაზე მძიმე მემკვიდრეობა.

დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელი მუდამ დადის შეჯიბრებებზე, სპორტულ ბაზებზე, გუნდების ვარჯიშზეც კი, მოკლედ, ხშირად გადის კაბინეტიდან.

იყო თუ არა განვლილი 100 დღე ქვეყნის სპორტულ მიღწევათა მემკვიდრე? რა თქმა უნდა, იყო. შედარებით „მკვდარ სეზონს" თუ გავითვალისწინებთ, ახალი მიღწევები ურიგო არ არის. უკვე ქვეყნის რამდენიმე ჩემპიონატის ჩატარებაც მოესწრო, გააქტიურდა სპონსორების შემწეობა. მთავარია ისიც, რომ იგეგმება მოსწავლეთა სპარტაკიადებისა და სტუდენტთა თამაშების, სხვა მასობრივ შეჯიბრებათა აღორძინება. უკვე გაჩნდა სპორტულ ღონისძიებათა მონატრებული კალენდარი, რომლის სრულად შესრულება ისევ და ისევ დაფინანსებაზე იქნება დამოკიდებული.

სხვათა შორის, ორმხრივ სასარგებლო კონტაქტების ძიება ქვეყნის ფარგლებს გარეთაც გრძელდება, ამის დასტურია ვიზიტები დსთ-ს ზოგიერთ ქვეყანაში და ევროპაში. უთუოდ საგულისხმოა ისიც, რომ ახლახან, მოსკოვში გამართულ ოლიმპიელთა საზეიმო, ტრადიციულ მეჯლისზე, ხელისუფლებამ, კრემლში სპორტის სახელმწიფო სტრუქტურის მხოლოდ ორი ხელმძღვანელი მიიწვია, ერთი თვით რუსეთიდან, ხოლო მეორე – ირაკლი მეძმარიაშვილი – საქართველოდან.

დარგის გაძღოლა, „მართვა ქედმაღლობის გარეშე", დიდი ხელოვნებაა, რაც პიროვნებას ამაღლებულს წარმოაჩენს საზოგადოებრიობის თვალში. ირაკლი მეძმარიაშვილის 100-დღიანი მმართველობა ქართულ სპორტში, ზემოთქმულთან თანხვედრაშია. ეს არ არის მხოლოდ ამ სტრიქონების ავტორის პირადი დაკვირვებიდან გამოტანილი დასკვნა. ამას გრძნობენ და ხედავენ, უპირველესად, ჩვენს სფეროში.

დღევანდელი დღე – 2001 წლის 2 მარტი ქართული სპორტის ახალი მესაჭის 101-ე სამუშაო დღეა!

სპორტსმენები საზოგადოებრივ სარბიელზე

# ჩვენი ნოდარი

ჩვენდა საბედნიეროდ და ჩვენი მეგობრის ნოდარის გასახარად, სათაურში გამოტანილ სიტყვას — გამოთქმას უამრავი პიროვნება იტყვის და ამბობს კიდეც... ამგვარ ახლობლად მიაჩნიათ წარსულში ცნობილი წყალბურთელი, ამჟამად კონცერნ „შუშა-ჯამის" გენერალური დირექტორი ნოდარ კურტანიძე, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი საზოგადოების წარმომადგენლებს... ვეტერან წყალბურთელებს თუ ახალგაზრდა ინჟინრებს, მსოფლიოში განთქმულ ფალავნებს — მოჭიდავეებს თუ კულტურის წარმომადგენლებს, ცნობილ სწავლულებს თუ ახალი თაობის სპორტსმენებს, მოსკოვში თუ სტამბოლში მცხოვრებ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს და საქართველოში მოღვაწე არაერთ სახელმწიფო თანამდებობის პირს და აურაცხელ ჩვეულებრივ რიგით ქართველს, კიდევ უფრო მეტს — ბევრს და ამაში ადვილად დარწმუნდება მკითხველი, თუ ბოლომდე ჩაიკითხავს — წაიკითხავს ჩვენს მოკრძალებულ-უპრეტენზიო წერილს, რომელიც ნოდარ კურტანიძის დაბადებიდან 50 წელს მივუძღვენით და რომელიც, მერწმუნეთ, ყოველგვარი ამბიციურობის-ხელოვნურობის თუ გადამეტება-მეტიჩრობის გარეშეა შექმნილი — ისე, როგორც ჩვენს მეგობარ ნოდარს ეკადრება — უანგაროს, ზედმეტად მორიდებულს, ჩუმს, ხათრიანს, უაღრესად შრომისმოყვარეს ყმაწვილკაცობიდან დღემდე და უაღრესად კეთილ-შობილ ალალმართალ კაცურ კაცს. მოკლედ, ზედმეტს არ ვკადრებთ და არც ეკადრება მისი ბუნება-ხასიათიდან გამომდინარე... თორემ, გაჯავრდება, დაიმორცხვებს კიდეც და საწყენადაც მიიღებს, მაგრამ... თუ ამ დღეს, თუ ამ თარიღთან დაკავშირებით არ შევბედეთ, მაშინ როდისღა ვთქვათ, როდის გამოვხატოთ მისადმი ჩვენი სიხარული-სიყვარული?! მით უმეტეს, მე, მასზე გაცილებით უფროსმა მეგობარმა, მისმა ყრმობამ და ახალგაზრდობამ ჩემს თვალწინ რომ ჩაიარა და შემდეგშიაც მოწმე-შემფასებელი რომ ვარ მისი მრავალმხრივი ცხოვრების...

ქართული წყალბურთის ვარსკვლავებს — ნოდარ გვახარიას, გივი ჩიქვანაიას, ლერი გოგოლაძის და ახალგაზრდა ამომავალი ვარსკვლავის ვლადიმერ ისელიძის გუნდში — თბილისის „დინამოში" სრულიად ახალგაზრდა, ფიზიკურად ძლიერი, დიდტანიანი და საოცრად შემართულ-ჯიგრიანი 16 წლის ბიჭი ნოდარ კურტანიძე, მისი პირველი მწვრთნელის კოლორიტული ძია ვოვას (ვ. ბარნაბიშვილი) რეკომენდაციით, ჩვენმა სათაყვანებელმა მწვრთნელმა როსტომ ჩაჩავამ გუნდში ჩარიცხა! სწორედ აქედან იწყება ის დიდი გზა — შეგნებული ცხოვრების წლები, რომელიც ნოდარ კურტანიძემ გაიარა და რომელმაც ნოდარის ბიოგრაფიაში, მის ჩამოყალიბებაში, ვგონებ, გადამწყვეტი როლი შეასრულა. სწორედ აქ, ამ გუნდში მიიღო-შეითვისა-შეისწავლა ის ღირსეული თვისებები, რომელიც შემდგომში ყველგან გამოადგა... თვითონ განსაჯეთ: ბრძოლისუნარიანობა, შრომისმოყვარეობა, კეთილსინდისიერი დამოკიდებულება ვარჯიშისადმი, შეუპოვარი ბრძოლა გამარჯვებისათვის და კიდევ მრავალი სხვა...

სწორედ ამიტომაც იყო, იმ დიდი გუნდის შემდეგ 70-იან წლებში, თბილისის „დინამოს" და საქართველოს ნაკრებმა, რაც წარმატებებს მიაღწიეს ვოვა ისელიძესთან და მიხეილ გიორგაძესთან ერთად ლომის წილი, სწორედ ჩვენს ნოდარს ეკუთვნის, ჩვენს ხელში გაზრდილს, გუნდში უფროსი მეგობრის დამფასებელს — მომსმენს, მიმბაძველს, გარდა თამაშისა, ცხოვრებაშიაც მათ მიმბაძველს — დამფასებელს...

თუმცა, ეს რა სათქმელია — ნოდარ კურტანიძე იმდენად პატიოსან, იმდენად დიდებულ, კეთილ და ზნეობით სავსე ოჯახში გაიზარდა, რომ მისი მშობლების — ფიზიკურად მაღალნიახოვანნი და სულით ამაღლებული პიროვნებების გაზრდილის, ცხოვრების დიდი გზის გავლა, უწყალბურთოდაც შეეძლებოდა... და მაინც, შეიძლება ჩვენი სუბიექტური აზრი იყოს, ნოდარს, გარდა სახელისა და დიდებისა, სპორტმა — წყალბურთმა ბევრი რამ შესძინა...

ამის დასადასტურებლად ქვემოთ უამრავ ფაქტს, მოვლენას აღვნიშნავთ მისი მოღვაწეობიდან... ახლა კი, კვლავ წყალბურთს დავუბრუნდეთ, წყალბურთს — ნოდარის პირველ გატაცებას — სიყვარულს... თბილისის „დინამოს" და საქართველოს ნაკრების გარდა, მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში შემცირდა ქართველ წყალბურთელთა წარმატებები, ნოდარი თავისი თამაშით, დისციპლინით და საოცარი ბრძოლისუნარიანობით მაინც აღწევს საკავშირო ახალგაზრდულ და საკავშირო სტუდენტურ ნაკრებში თამაშს. მას საკავშირო შეკრებებზე ხშირად იწვევდნენ. ითვლებოდა ყოველთვის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ... ამ დროს კი, წარმატებით ამთავრებს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტს, სპორტთან ერთად დიდი ინტერესი გაუჩნდა სწავლის, შრომის... უკან დარჩა ნაადრევად ბურთის თამაში... სწავლას ეუფლება — მოსკოვში საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახალხო მეურნეობის აკადემიის მსმენელად ჩაირიცხა (სხვათა შორის, უმკაცრესი შერჩევის საფუძველზე), წარმატებით ისწავლა და იქვე, ასპირანტურაც წარმატებით დაამთავრა... სამეცნიერო მუშაობას ვინ დააცლიდა, ასეთ ახალგაზრდა შრომისმოყვარე, ორგანიზაციული ნიჭით დაჯილდოებულ, პროფესიონალ-სპეციალისტს? და ისიც საქართველოში დაბრუნდა, ახალჩამოყალიბებულ უზარმაზარ საწარმოში — „აზოტში" დაიწყო მუშაობა. მისი ნიჭი და ენერგია, ცოდნა და კეთილსინდისიერება იყო იმის საფუძველი, რომ რამდენიმე წელიწადში ხელმძღვანელ პოსტებზე დაინიშნა, საწარმოს სული და გული გახდა, უამრავი საქმის გამძღოლი და ახალი იდეების ინიციატორი. სწორედ მაშინ გახდა „აზოტი" ერთ-ერთი უმთავრესი ბურჯი ქართული მრეწველობის...

ასეთი დიდი შრომის მიუხედავად, დღემდე არც თავის პირველ სიყვარულს, სპორტს ივიწყებს. ამ უკანასკნელ წლებში ყველასათვის ძნელბედობის დროს, მით უმეტეს სპორტისათვის, ნოდარ კურტანიძე ყველანაირ შესაძლებლობას იყენებს და ამით სხვასაც მაგალითს აძლევს რამენაირად სპორტს დაეხმაროს. ჯერ იყო, რუსთავში, მისი მუშაობის დროს, უნიკალური საცურაო აუზი აშენდა, შემდეგ მისი ძალისხმევით საძირკველი ჩაეყარა ავჭალაში „დინამოს" წყალბურთელთა ბაზაზე საცურაო აუზის მშენებლობას (ჩვენდა საუბედუროდ, დღეისათვის მიტოვებულია). და რაც მთავარია, საყოველთაო განუკითხაობის დროს — საქართველოში სამოქალაქო ომის პერიოდში, აფხაზეთის გადასარჩენად რამდენი იწვალა-იწამა-ილვაწა ფიზიკურად და მატერიალურად, დიდ გამოჩენილ პიროვნებე-




ბთან და სახელოვან სპორტსმენებთან ერთად, ჯერჯერობით, რომ უშედეგოდ ჩაიარა, მაგრამ... აქვე, იმასაც დავძენთ, რომ აფხაზეთიდან ლტოლვილ მის გამოჩენილ მოგვარეს — ელდარ კურტანიძეს ყოველმხრივ გვერდში ამოუდგა, ყველაზე მეტად გაჭირვების დროს. კიდევ, ბევრი რამის თქმა შეიძლება ამ მხრივ, ქართული სპორტის საკეთილდღეოდ გაწეულ მეცენატობაზე, ახალგაზრდა წყალბურთელთა მოვლა-პატრონობაზე, და, საერთოდ, საწყლოსნო სპორტის განვითარებისათვის გაწეულ შრომაზე, განა ტყუილადაა არჩეული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად? — მრავალმხრივი პიროვნება, რომელსაც უცხოეთშიც კარგად იცნობენ, თავისი საქმიანობით და რამდენიმე უცხო ენის კარგად ფლობა იმის საშუალებასაც აძლევს „ორიოდე სიტყვა დაასველოს" წყალბურთელებისათვის...

ამჟამად, მინის დიდ კონცერნს უდგას სათავეში — ქსნის მინის ტარის ქარხნის ბაზაზე რომ შეიქმნა საზღვარგარეთელი — თურქი კოლეგების დახმარებით, ფაქტიურად გაპარტახებულ ადგილზე და დღეს რესპუბლიკაში ერთ-ერთი ყველაზე რენტაბელური საწარმოა. მინის — შუშასავით სუფთა და გამჭირვალეა ჩვენი ნოდარის ცხოვრება, მთის ბროლივით ლამაზია მისი საყვარელი ცოლ-შვილი და, რაც მთავარია, კვლავ ლამაზი და მშვენიერი იქნება, ნოდარ კურტანიძის სახატე სამშობლო საქართველო!

**ოთარ მიმინოშვილი,**
ვეტერანი სპორტსმენების სახელით.

### მილოცვა

**საქართველოს სპორტის წყალთა სახეობების ფედერაცია და სააქციო საზოგადოება „ლაგუნა-ვერე" დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავს ამავე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, სახელგანთქმულ ვეტერან წყალბურთელს, სპორტსმენთა ახალგაზრდა თაობის თანმიმდევრულ და ერთგულ ქომაგს ნოდარ კურტანიძეს.**

# 4 მარტს რუსეთს ვეთამაშებით



**ვიზების პრობლემების მოგვარების შემდეგ საქართველოს მორაგბეთა ნაკრები, როგორც იქნა, გაემგზავრა კრასნოდარში, სადაც 4 მარტს რუსეთის ნაკრებს შეხვდება ევროპის ერთა თასის III ტურში.**

ქართველთა რაზმში სულ ბოლო ცვლილებები ასეთია: საფრანგეთიდან ვერ მოფრინავს მძიმე ფორვარდი, რუსთაველი ბურჯი გოდერძი შველიძე, აქ კი კახა ალანიას გაურთულდა ტრავმა და საფუძვლიანი მკურნალობა სჭირდება.

ამდენად, ევროპიდან გამოფრენილ 17 მორაგბეს სომხეთიდან ექვსი უნდა დაემგზავროს. ოთხი, როგორც შევნიშნეთ, ამაღამ წავა, ნოდარ ანდღულაძე და ბესო უდესიანი კი გვიან ჩააკითხავენ გუნდს.

სულ, „ბორჯღალოსანთა" კრასნოდარულ რაზმში 23 მოთამაშეა: 13 ფორვარდი და 10 ბეკი, მაგრამ თუ ლაბაძეს ისევ უკან დახევენ, თანაფარდობა 12-11 გახდება.

მატჩის ოქმში კი უნდა ჩაიწეროს 22 კაცი (ტრადიციულად, 12 ფორვარდი და 10 ბეკი). ასე რომ, ერთი კაცი ზედმეტი გვყავს.

ფარიკაობა საერთაშორისო ტურნირი

# საკუთარი ფულით მოპოვებული ოქროსა და ბრინჯაოს მედლები

ირანის ქალაქ იაზდში 6 ქვეყნის 160-ზე მეტი იუნიორი (20-წლიანები) და მოზარდი (20 წელზე უმცროსი) მოფარიკავე შეიკრიბა საერთაშორისო ტურნირზე, რომელთა შორის 9 სპორტსმენი საქართველოდან იყო.

აი რა გვითხრა თბილისში დაბრუნების შემდეგ ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ***ლუდვიგ ღლანიძემ:***

„ირანში ყველა ჩვენი სპორტსმენი საკუთარი ფულით გაემგზავრა. არადა, როცა შედარებით ახლოს ტარდება ასეთი ტურნირი, საცოდაობაა შეჯიბრება მონატრებული მოფარიკავეები შინ დატოვო. თბილისელთა გარდა, ჩვენს გუნდში იყვნენ ბათუმელი და ქუთაისელი სპორტსმენები.

თბილისელმა ***ნატო კობიაშვილმა რაპირით ფარიკაობაში პირველი ადგილი დაიკავა*** (მწვრთნელები ლ. სულამანიძე და ლ. ღლანიძე), ***პირველი იყო აგრეთვე ქუთაისელი დაშნით მოფარიკავე ანა აბრამიშვილი*** (თ. ოყროშიძე), მესამე ადგილი ამავე სახეობაში ხვდა ასევე ქუთაისელ ნატო მაღლაფერიძეს (ს. ბოგვერაძე), მეხუთე იყო რაპირაში რუსუდან საფარიძე და ხმალში ირაკლი ზამბახიძე (ორივე — ბათ.), მეექვსე — ირაკლი ჭელიძე (ბათ.), და გიორგი სილაგაძე (დაშნა, თბ.), მეშვიდე — ირაკლი ქელბაქიანი (რაპირა, ქუთ.), მეცამეტე — ირაკლი ცირდავა (ხმალი, თბ.).

9-16 აპრილს ქ. გდანსკში (პოლონეთი) ჩატარდება მსოფლიო პირველობა კადეტთა და იუნიორთა შორის. ირანის ტურნირი სწორედ იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ წინ უსწრებდა მსოფლიო პირველობას. პოლონეთში გამგზავრების ხარჯების გამოყოფის საკითხი ჯერჯერობით ღიად რჩება. იმედია, შინ არ დაგვტოვებენ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში**

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი • 28 თებერვალი. 3000 მაყურებელი.

# XVIII ტური

**ლოკომოტივი (თბილისი) - დინამო (ბათუმი) 1-0**

***ლოკომოტივი:*** ლომაია, ბალაშვილი, სალუქვაძე, ცხადაძე, კვარაცხელია, ჭიჭველიშვილი, კაიდარაშვილი (ბაქრაძე, 72), გოგიჩაიშვილი, გილაური (რუსია, 46), ანჩაბაძე, ზ. ლაცაბიძე.

***დინამო:*** გრ. ჭანტურია, ი. მახარაძე, მინდაძე, პაპიძე, მეავანაძე, გელა ქორიძე, ღლონტი (დარჩიძე, 55), გველესიანი (რომანაძე, 57), მაჭუტაძე, ტუღუში, აფხაზავა.

***გოლი:*** გილაური (38).

***გააფრთხილეს:*** გელა ქორიძე.

***მსაჯი:*** ლევან ფანიაშვილი (თბილისი).



ლოკომოტივი — დინამო (ბთ).

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

## ვაკეში ფეხბურთი დაბრუნდა

ვაკეს ფეხბურთი დაუბრუნდა და ლოკომოტივმა ეს დღე საკუთარ მინდორზე გამარჯვებით აღნიშნა. ძველი და საშუალო თაობის თბილისელებს კარგად ახსოვთ თუ როგორი მოხდენილი და კოპწია, მუდამ ხმაურიანი იყო ძველი „ლოკომოტივი" თავისი „ჯუნგლებით" და „დინამოს" ერთგული ქომაგებით. ისტორია მეორდება, ამბობენ. ახლაც ასეა. რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელის და საფეხბურთო კლუბ „ლოკომოტივის" პრეზიდენტის აკაკი ჩხაიძისა და მისი თანამოაზრეების შრომა უკვე იძლევა კეთილ ნაყოფს. ჯერ კიდევ მშენებარე მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი მაინც ტოვებს გრანდიოზულ, თვალმისაზიდ შთაბეჭდილებას და ფეხბურთიც სამო საცქერია.

განახლებული სეზონის პირველ, კალენდრით, XVIII ტურის მატჩში „ლოკომოტივმა" ბათუმის „დინამო" მიიღო.

ორივე გუნდს ახალ პირობებთან, იდეალურ სათამაშო მინდორთან, შესაგუებლად გარკვეული დრო დასჭირდა: პირველი ტაიმის შუაში მასპინძელთა უპირატესობა გამოიკვეთა, რასაც აქსენტი გილაურმა მახვილი კუთხიდან, მოჭრილი დარტყმით და ლამაზი გოლით ლოგიკური წერტილი დაუსვა. მეორე ტაიმში „ლოკომოტივს" შეეძლო ანგარიში გაეზარდა, მაგრამ ხან სტუმართა მეკარე და მცველები ყოჩაღობდნენ, ხანაც თავდამსხმელები ვერ უტევდნენ ზუსტად. ამ მატჩში ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტიც მოხდა, ეროვნულ ჩემპიონატს ფეხბედნიერად დაუბრუნდა და ჩვეულად გაისარჯა საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი კახა ცხადაძე.

„ლოკომოტივმა" მოიგო და ლიდერის პოზიცია განიმტკიცა. ახლა იგი უახლოეს მდევარს „ტორპედოს" შვიდი ქულით უსწრებს. ჩინებული სპეციალისტის გივი ნოდიას სამშობლოში დაბრუნება და კლუბში მოსვლა გუნდს უეჭველია გამოადგება, რაც პირველმა მატჩმაც კარგად წარმოაჩინა. ბათუმელებს კი სამუშაო და დასახვეწი ბევრი აქვთ, დრო კი მცირე, იმისთვის რომ საუკეთესო ექვსეულში შეაღწიონ.

მოკლედ, ქართული ფეხბურთი ვაკეში დაბრუნდა და ჩემპიონატის ლიდერსაც იმის საშუალება გამოუჩნდა, საკუთარ სტადიონზე მიიღოს სტუმარი გუნდი და უპირატესობა და შესაძლებლობები უკეთ გამოამჟღავნოს.

**მიხეილ საბახტარიშვილი**

***XVIII ტური, 28 თებერვალი***

იბერია — თსუ 0-0

დილა — სიონი 0-1

კოლხეთი 1913 — დინამო (თბ) 0-0

ვიტ-ჯორჯია — გორდა 0-0

ლოკომოტივი — დინამო (ბთ) 1-0

მერანი 91 — ტორპედო (გადაიდო)

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ლოკომოტ.** | **18** | **15** | **1** | **2** | **33-7** | **46** |
| **ტორპედო** | **17** | **12** | **3** | **2** | **28-6** | **39** |
| **დინამო (თბ)** | **18** | **12** | **2** | **4** | **43-17** | **38** |
| **ვიტ ჯორჯია** | **18** | **9** | **6** | **3** | **26-12** | **33** |
| **კოლხ.-1913** | **18** | **8** | **4** | **6** | **19-14** | **28** |
| **მერანი-91** | **17** | **6** | **6** | **5** | **17-17** | **24** |
| დინამო (ბთ) | 18 | 6 | 3 | 9 | 22-25 | 21 |
| სიონი | 18 | 5 | 4 | 9 | 13-27 | 19 |
| გორდა | 18 | 3 | 8 | 7 | 13-22 | 17 |
| თსუ | 18 | 4 | 3 | 11 | 17-32 | 15 |
| დილა | 18 | 4 | 3 | 11 | 13-33 | 15 |
| იბერია | 18 | 0 | 3 | 15 | 3-35 | 3 |

## მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე...

**ასლან ბალაძე (ბათუმის „დინამოს" მთ. მწვრთნელი):** „ჩემი გუნდის ფეხბურთელების თამაშით საერთო ჯამში უკმაყოფილო ვარ, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ კოლექტივი ჩამოყალიბების სტადიაშია, თანაც მტკივნეული პროცესი — თაობათა ცვლა მიდის, ახალგაზრდა ფეხბურთელები ჯერ გამოუცდელები არიან. მიუხედავად ამისა, იმედს არ ვკარგავთ, ექვსეულში მოხვედრას ვეცდებით".

**გივი ნოდია (თბილისის „ლოკომოტივის" მთ. მწვრთნელი):** „მართალია ჩვენმა გუნდმა შესაძლებლობების 60-70 პროცენტი გამოავლინა, როგორც შედეგით, ისე თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვარ. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მცველთა გარჯა, სადაც გამოვყოფდი ვეტერანი კახი ცხადაძის თამაშს. აქვე გეტყვით, რომ „ლოკომოტივში" მის გარდა, სხვა შევსებაცაა — მურთაზ შელია („ალანიადან") და დავით დათვაძე (თბილისის „დინამოდან"). უთუოდ გასაძლიერებელია გუნდის შეტევითი პოტენციალი, თუმცა დღეს თავად იხილეთ, რომ მეორე ტაიმში რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევა გამოგვივიდა. დღეისათვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელებს კლუბის მეპატრონეებმა ყველა პირობა შეუქმნეს ოსტატობის სრულყოფისათვის. შევიმუშავეთ ახალი სატრანსფერო პოლიტიკა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს გუნდში შევინარჩუნოთ წამყვანი ფეხბურთელების ბირთვი".

## მსაჯებს მუშაობას ინსპექტორები შეუმოწმებენ

26-27 თებერვალს კი პირიქით იყო. მსაჯებს მატჩების ინსპექტორებმა მიბაძეს და სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის კომპეტენტურ საკვალიფიკაციო კომისიას თეორიული გამოცდები ჩააბარეს. კომიტეტის თავმჯდომარეს ანატოლი მილჩენკოს ერთკვირიანი საგამოცდო მარათონის თაობაზე ვთხოვეთ კომენტარი. საუბარი მან მსაჯების შეფასებით დაიწყო — „მსაჯთა მდგომარეობა ნორმალურია, ისეთი, როგორც სეზონის საწყის პერიოდს შეესაბამება. მოსამზადებელი შეკრება არ გაგვივლია, მაგრამ უმრავლესობამ პასუხისმგებლობის გრძნობა გამოამჟღავნა და ფიზიკური ნორმატივებისა და თეორიული გამოცდების ჩასაბარებლად ინდივიდუალური პროგრამით კარგად მოემზადა, რაც მათ შედეგებზეც აისახა ცუდი ამინდის მიუხედავად. იგივეს თქმა შეიძლია მატჩების ინსპექტორებზეც. საკმაო გამოცდილებას ახალგაზრდული შემართება ემატება. ინსპექტორთა უმეტესობა ვეტერანი ფეხბურთელი და სფფ-ს თანამშრომელია, როგორც მსაჯების, ისე ინსპექტორთა რიგები ახალგაზრდობამ შეავსო, რაც უდავოდ მისასალმებელია და მომავალი პერსპექტივის მანიშნებელია".

**საბა ლომინაძე**

## ტაძრის კარებიდან მწვანე მინდორზე

სვეტიცხოვლის მოძღვარმა მამა არსენმა ძნელ და პასუხსაგებ საფეხბურთო სეზონში მსაჯთა კორპუსს გზა დაულოცა. კეთილსინდისიერი მსაჯობის თავისებური ფიცისა და ლოცვა-კურთხევის შემდეგ, მსაჯებმა საზეიმო ვითარებაში ლიცენზია — კონტრაქტები მიიღეს და 28 თებერვლიდან საქმეს შეუდგნენ. აი ისინი: ს. კვარაცხელია, ა. შალამბერიძე, მ. მაისურაძე, დ. სანაია, ა. მეშკოვი, ა. კრიჭაშვილი, კ. მესხი, პ. დოგრაშვილი, ზ. ანიაშვილი, ლ. ფანიაშვილი; ზ. დოლიძე, ა. სამხარაძე, ლ. მიქელაძე, კ. გაბრიაძე, გ. ჩიგოგიძე, მ. ელიკაშვილი, ლ. რაზმაძე, ი. შალამბერიძე, გ. ცირდავა, მ. ურუშაძე, ზ. ჯვარიძე, ჯ. ბუიშვილი, გ. ბრეგვაძე, ი. აფციაური, გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი, ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი, კ. თბილელი, ა. ნონიკაშვილი, ო. ხეცაძე, ვ. ელისაბედაშვილი; ზ. ერქვანია, ლ. კვარაცხელია, კ. ბერაძე, ა. გუნთაძე, ე. ნარმანია, მ. ნაკაიძე;

ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგას პირველად დასახელებული 10 მთავარი მსაჯი და 22 ასისტენტი მოემსახურება. 38 მსაჯს შორის 6 მსაჯობისა და ასისტენტობის კანდიდატია, ისინი მსაჯთა ახალი თაობის წარმომადგენლები არიან. სხვადასხვა საპატიო მიზეზთა გამო, გამოცდები და ტესტირება ვერ ჩააბარეს — შილაკაძემ, ორდინიძემ, ხუციშვილმა, ჩოჩიშვილმა და მალაღურაძემ. ისინი კოლეგებს 10 მარტისთვის დანიშნული ტესტირებისა და თეორიული გამოცდების ჩაბარების შემდეგ შეუერთდებიან.

**მიხეილ საბახტარიშვილი**

## ტალავერადან კიოლნამდე

ეროვნული ნაკრების ყოველ მატჩს გულშემატკივრის განსაკუთრებული ლოდინი ახლავს თან. კიოლნში გამართული ამხანაგური მატჩი საქართველოს ეროვნული გუნდისთვის საერთაშორისო დონეზე, საკლუბო გუნდებთან მეშვიდე პაექრობა იყო. ნაკრები გუნდებისა და კლუბების ასეთი სახის თამაშები ხშირად იმართება. გამონაკლისი არც ჩვენი გუნდია. საქართველოს ნაკრებს ოფიციალურ საერთაშორისო დონეზე 68 მატჩი აქვს გამართული სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებთან და გუშინწინდელი მატჩი გერმანიაში, რუმინელებთან საკვალიფიკაციო მატჩისთვის მზადების ბოლო ეტაპი იყო.

საკლუბო გუნდებთან ნაკრების შერკინების ისტორია 1993 წლიდან იწყება. ალექსანდრე ჩივაძის გაწვრთნილმა გუნდმა, რვა წლის წინ, აპრილში რვა დღიანი საწვრთნელი შეკრება გაიარა ესპანეთში. 4 ამხანაგური მატჩიდან ქართველებმა ორი მოიგეს, ერთი ფრედ ითამაშეს, ერთიც წააგეს, ბურთების შეფარდება 9-5; შემდეგ იყო მატჩი ბრაზილიურ „პალმეირასთან" ბათუმში, რომელშიც 0-1 დავმარცხდით. გავიდა კიდევ ექვსი წელიწადი, საქართველოს ნაკრები „გაქართველებულ" „ფრაიბურგს" ეწვია და დაამარცხა 3-2. კიოლნამდე მატჩების სტატისტიკა ასეთი იყო: 6 მატჩი, 3 მოგება, ერთი ფრე, 2 წაგება, ბურთების შეფარდება 12-8. თორმეტი გოლი ცხრა ფეხბურთელმა გაიტანა: 2-2 ა. არველაძემ, შ. არველაძემ და ქინქლაძემ, 1-1 გუჯაბიძემ, ინალიშვილმა, ანჩაბაძემ, რ. არველაძემ, ყაველაშვილმა და ზ. ჯანაშიამ.

### საქართველოს ნაკრების მატჩები საკლუბო გუნდებთან

***1993 წ.*** 23 აპრილი. „ტალავერა" (II დივ) — საქართველო 1-1

25 აპრილი. „ალბასეტე" (პრ. დივ) — საქართველო 3-0

27 აპრილი. „ბენიდორმი" (II) — საქართველო 0-4

29 აპრილი. „ტოლედო" (II) — საქართველო 1-4

***1994 წ.*** 21 ივნისი. საქართველო — „პალმეირასი" 0-1

***2000 წ.*** 1 სექტემბერი „ფრაიბურგი" — საქართველო 2-3

***2001 წ.*** 27 თებერვალი. „კიოლნი" — საქართველო 0-2



კიოლნში მოვიგეთ, რაც ყოველგვარი გადამეტების გარეშე მისასალმებელი ფაქტია, თუნდაც იმისათვის, რომ ნაკრებს გამარჯვებისა და საკუთარი ძალების რწმენა შეუნარჩუნდეს. ამ წარმატებას სულაც არ აკნინებს ის, რომ ჩვენი მეტოქე, რომელიმე ქვეყნის ეროვნული ნაკრები კი არა, არამედ, გერმანული ბუნდესლიგის საშუალო დონის გუნდი იყო. შარშან „ფრაიბურგს" მოვუგეთ და საკმაო წარმატებით ვითამაშეთ შემდეგ შესარჩევ მატჩებშიც. ღმერთმა ჰქნას, ახლაც ასე იყოს. რუმინეთამდე, ამ შეხვედრამ გუნდის მწვრთნელებს მათი გამოცდის საშუალება მისცა, ვინც ბალკანელებთან მატჩში ნაკრებს უეჭველად გამოადგება. მანამდე კი მზადებისა და ჩატარებული მუშაობის ანალიზისათვის ერთი თვე გვაქვს.

**27 თებერვალი. კიოლნი. საერთაშორისო ამხანაგური მატჩი კიოლნი (გერმანია) – საქართველო 0-2**

***საქართველო:*** გვარამაძე, ხიზანიშვილი (აბრამიძე 46), ქემოკლიძე, სილაგაძე, კობიაშვილი (ასათიანი 46), ნემსაძე (ალექსიძე 46), რეხვიაშვილი, ცქიტიშვილი (თოდუა 46), ქეცბაია, შ. არველაძე, (ზ. ჯანაშია 46), ა. არველაძე (აშვეთია 46).

***გოლები:*** ქეცბაია (74), აშვეთია (80)

**მიმომხილველი**

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართვა

**ძვირფასო მეგობრებო!**
**ფეხბურთის გულშემატკივრებო!**

28 მარტს საქართველოს ეროვნული გუნდი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში უმნიშვნელოვანეს მატჩს გამართავს რუმინეთის ნაკრებთან.

თითოეული ჩვენგანი მოუთმენლად ელის ამ შეხვედრას, რომლის წარმატებით ჩატარება საქართველოს ეროვნული ნაკრების წინსვლის საწინდარი გახდება შესარჩევ ციკლში. ამისთვის კი საჭიროა გუნდის სიძლიერესთან და ორგანიზაციასთან ერთად სტადიონზეც სრული წესრიგი სუფევდეს, რაშიც თქვენი თანადგომის იმედი გვაქვს...

მოგეხსენებათ, რუმინელებთან მატჩისთვის ფიფასა და უეფას კატეგორიული მოთხოვნის შესაბამისად, სფფ-ს უფლება აქვს სარეალიზაციოდ გასცეს მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალური სკამებისთვის განკუთვნილი ოცი ათასი ბილეთი და აბონემენტი. ჩვენ გვესმის, რომ სტადიონზე მისვლის მსურველი გაცილებით მეტია, ამიტომაც გავიღეთ დამატებითი ხარჯები და საქართველოს ტელევიზიასთან ერთად, პირველ არხზე მატჩის პირდაპირი ტელეტრანსლირების უფლება გამოვისყიდეთ. გვსურს კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი იმ ფაქტს, რომ სტადიონზე მხოლოდ და მხოლოდ ოცი ათასი ადგილია და თამაშზე უნდა მოვიდეს ის გულშემატკივარი, რომელსაც ბილეთი ან აბონემენტი ექნება.

წინაალმდეგ შემთხვევაში განმეორდება უკრაინის ნაკრებთან მატჩის დროს მომხდარი ინციდენტი, როდესაც მხოლოდ ექვსი ათასი ბილეთი გაიყიდა და ტრიბუნაზე ხუთჯერ მეტი გულშემატკივარი მოთავსდა. ამის გამეორება დაუშვებელია, რადგან თუკი რუმინეთთან გაყიდული ბილეთების რაოდენობა არ დაემთხვა სტადიონზე მოსულ გულშემატკივართა რიცხვს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მკაცრი საჯარიმო და ფულადი სანქციები არ ასცდება. სტადიონს მიეცემა დისკვალიფიკაცია. საქართველო კი კარგა ხნით დაემშვიდობება დიდ ფეხბურთს...

სფფ-მ გადაწყვიტა ბილეთები და აბონემენტები გასაყიდად 10 მარტიდან გამოუშვას. თამაშის დღეს კი სტადიონზე ბილეთები არ გაიყიდება.

ძვირფასო გულშემატკივრებო! კიდევ ერთხელ გთხოვთ, მხარში ამოუდგეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, უბილეთოდ ნუ მოხვალთ სტადიონზე. ნუ შეუქმნით ზედმეტ პრობლემებს და ნუ დავუკარგავთ საქართველოს ნაკრებს შესაძლებლობას შინ ჩაატაროს არანაკლებ მნიშვნელოვანი დარჩენილი სამასპინძლო მატჩები იტალიასთან, ლიტვასთან და უნგრეთთან...

თქვენი თანადგომის იმედი გვაქვს!..

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია**

## საქართველოს საფეხბურთო კლუბები

# ბათუმის «დინამო»

საქართველოს უმაღლესი ლიგის მეორე წრის მატჩების განახლების წინ „ლელოს" ბათუმელი კორესპონდენტი ოთარ მურვანიძე ესაუბრა ბათუმელთა მთავარ მწვრთნელს, წარსულში სახელოვან მეკარეს ასლან ბალაძეს.

● ***როდის შეუდგა „დინამო" ჩემპიონატისათვის მზადებას და გაკმაყოფილებთ თუ არა მოთამაშეთა ამჟამინდელი მდგომარეობა?***

— ვარჯიშს 6 იანვრიდან შევუდექით ბათუმში, პირველი ეტაპით უკმაყოფილო არ ვარ. ოთხი საწვრთნელ-საკონტროლო მატჩიდან სამი მოვიგეთ და ერთი წავაგეთ. თანდათან იკვეთება გუნდის ძირითადი ბირთვი. საზრუნავი ჯერ კიდევ საკმაოდ გვაქვს.

● ***გუნდში ცვლილებებზე რას იტყვით?***

— დავითხოვეთ რუსთაველი გოლკიპერი ბედიაშვილი, მის ნაცვლად ავიყვანეთ ტორპედოელი გია ჭანტურია და „დინამო-2"-დან ახალგაზრდა პერსპექტიული მეკარე, 18 წლის ირაკლი ბალაძე. დავიბრუნეთ ვეტერანი ფეხბურთელები. მარცხენა მცველი ივანე მახარაძე, თავდამსხმელები პაატა მაჭუტაძე და თემურ ტუღუში, ნახევარმცველი ირაკლი შენგელია — მოსკოვის „სპარტაკიდან".

● ***„დინამოს" კარს აქამდე ბედიაშვილი იცავდა, მისი შეცდომის გამო, რამდენიმე მწვავე მარცხი იწვნიეთ...***

— სამწუხაროა, როცა გოლკიპერის გამო აგებ შეხვედრას, ამიტომ აღმოვჩნდით ასეთ სავალალო მდგომარეობაში.

● ***დაცვასა და ნახევარდაცვის ხაზშიც გქონდათ პრობლემები?***

— არა, ამ მხრივ მდგომარეობა კარგი გვაქვს, საიმედო რეზერვიც გაგვაჩნია.

● ***თავდასხმაში ორად ორი ფორვარდი — შალვა აფხაზავა და გოჩა ყულეჯიშვილი შემოგრჩათ...***

— მათ მიეხმარებიან პაატა მაჭუტაძე და თემურ ტუღუში, ისინი ნამდვილი გოლეადორები არიან და, ალბათ, „დინამოს" გოლების გატანა არ გაუჭირდება.

● ***მეორე ეტაპის მზადება ბულგარეთში გაიარეთ, საწვრთნელ-საკონტროლო მატჩები იქ თუ ჩაატარეთ?***

— 2-20 თებერვალს პატარა საკურორტო ქალაქ ტირნოვოში გავიარეთ შეკრება, ძალიან კმაყოფილი ვარ. სავარჯიშო და საყოფაცხოვრებო პირობები კარგი იყო, შემადგენლობაც თითქმის დავაკომპლექტეთ.

● ***გამოდის, რომ მათი დასახელება, ვინც დაიცავს „დინამოს" ღირსებას, უკვე შეგიძლიათ?***

— კი ბატონო, დაგისახელებთ. ესენი არიან: მეკარეები — გია ჭანტურია, ირაკლი ბალაძე, მცველები — ოლეგ გველესიანი, ივანე მახარაძე, ზურაბ მინდაძე, ზვიად პაპიძე, კახა მჟავანაძე, კახა ქაცარავა, ბესიკ თედორაძე. გია ჩიჩუა, ნახევარმცველები — ირაკლი შენგელია, გელა ქორიძე, ვიტალი დარჩიძე, არჩილ რომანაძე, ავთო ღლონტი, კახა კობიძე, ამირან მუჯირი, თავდამსხმელები — შალვა აფხაზავა, გოჩა ყულეჯიშვილი, პაატა მაჭუტაძე, თემურ ტუღუში, ზაზა ბეჟანიძე.

● ***ვის თვლით ჩემპიონობის რეალურ პრეტენდენტად?***

— უმაღლესი ტიტულისათვის ოთხი გუნდი — „ტორპედო", „ვიტ-ჯორჯია", თბილისის „დინამო" და „ლოკომოტივი" იბრძოლებს. ყველაზე დიდი შანსი ქუთაისურებს აქვთ. ჩვენი მიზანია შევქმნათ ძლიერი გუნდი, ვითამაშოთ შემტევი, ლამაზი ფეხბურთი. დავიმკვიდროთ ადგილი პირველ ექვსეულში.

და ბოლოს, არ შემიძლია უდიდესი მადლობა არ ვუძღვნა ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ ბათუმის ხელმძღვანელობას, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს ჩვენი გუნდის ბულგარეთში გასამგზავრებლად.

**ოთარ მურვანიძე,**
„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი აჭარაში, ქ. ბათუმი.

## საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში | XVIII ტური ტექნიკური შედეგები

### ვიტ ჯორჯია — გორდა 0–0

***ვიტ ჯორჯია:*** მერლანი, საჯაია, ჭანკოტაძე, თ. კობიაშვილი, ვ. გოჩაშვილი, გოგობერიშვილი, დილმელაშვილი. ლ. ნოზაძე, გ. ყიფიანი (წუწუნავა 58), გიორგი ქორიძე (ადამია 72), მელქაძე.
***გორდა:*** ბედიაშვილი, კედელაშვილი, ბერიძე, ლაშა სილაგაძე, ა. გელაძე, მელაძე (კიტეიშვილი 80), პატარიძე, კაპანაძე (მიშველაძე 46), კ. ალადაშვილი, ა. ჯელაძე, ჯუღელი.
***გააფრთხილეს:*** ლაშა სილაგაძე, ბერიძე, მელაძე, ყიფიანი, საჯაია.
***მსაჯი:*** დავით სანაია (სოხუმი)

### კოლხეთი-1913 — დინამო (თბ) 0–0

***კოლხეთი:*** მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, ქობულაძე (ჭანტურიძე 75). ჯ. შალამბერიძე, აკობია (შავგულიძე 86), ღლანიძე, ფანჩულიძე, კვირკველია (ყურაშვილი 83), ე. გვასალია, წივწივაძე.
***დინამო:*** გრიშიკაშვილი, ზამთარაძე, შაშიაშვილი, კანდელაკი, ჩივაძე, მაზიაშვილი, მანწკავა, ბურდული (მაისურაძე 90), მიქაძე, სვანაძე, თუთარაშვილი (გაბიდაური 71).
***გააფრთხილეს:*** მანწკავა, მაზიაშვილი, გოროზია.
***მსაჯი:*** სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი)



### იბერია — თსუ 0–0

***იბერია:*** ჩლაიძე, შ. ლაცაბიძე, ამისულაშვილი, მიქელთაძე, ქვანია, ძამსაშვილი (ღუღუნაძე 85), ვ. გაგუა, ხიზანიშვილი, გ. ნოზაძე (ჩაჩუა 71), ივეჩიანი, ლ. ხმალაძე (თარგამაძე 64).
***თსუ:*** მამარდაშვილი, ზვ. ლაბაძე, ხარებავა, ებრალიძე, ბერიანიძე, არეშიძე, ზვ. გვაზავა (შოშიაშვილი 88), ბ. ნოზაძე, ზ. მეტრეველი, მესხი, ბეროშვილი (დათუნაშვილი 76).
***გააფრთხილეს:*** მეტრეველი, ლაბაძე.
***გააძევეს:*** მეტრეველი.
***მსაჯი:*** პაატა დოგრაშვილი (ქუთაისი)



### დილა — სიონი 0–1

***დილა:*** თ. ილურიძე, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, ლომიძე, გრიგალაშვილი (ფეზუაშვილი 68), ჩიტაია, ეჯოშვილი, ერაძე (ლ. გოჩაშვილი 80). საყვარელიძე, კოტორაშვილი (ა. ხმალაძე 70), ხორგუაშვილი.
***სიონი:*** ვოლკოვი, გოდერძიშვილი (მოსეშვილი 51), სიდამონიძე, ასპინძელაშვილი, სოლოღაშვილი, ბ. შენგელია, ბარნოვი, ისიანი (გაბისონია 79; კ. მეტრეველი 86), მ. გოგოლაძე, კ. გოგოლაძე, დავითაშვილი.
***გოლი:*** ბ. შენგელია (61).
***გააფრთხილეს:*** ხორგუაშვილი, ლომიძე, ბარნოვი.
***მსაჯი:*** ა. შალამბერიძე (ქუთაისი).

### ანონსი XIX ტური. 4–5 მარტი

***4 მარტი***
დინამო (თბ) — დილა
დინამო (ბთ) — კოლხეთი 1913
სიონი — მერანი 91
ტორპედო — იბერია
თსუ — გორდა
***5 მარტი***
ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

## ევროპა

### შესარჩევი ტურნირი

#### II ჯგუფი

პორტუგალია — ანდორა 3-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **პორტუგალია** | 4 | 3 | 1 | 0 | 9-2 | 10 |
| **კვიპროსი** | 3 | 2 | 0 | 1 | 8-6 | 6 |
| **ესტონეთი** | 4 | 2 | 0 | 2 | 4-6 | 6 |
| **ირლანდია** | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| **ჰოლანდია** | 3 | 1 | 1 | 1 | 6-4 | 4 |
| **ანდორა** | 5 | 0 | 0 | 5 | 3-14 | 0 |

#### VI ჯგუფი

ბელგია — სან-მარინო 10-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბელგია** | 3 | 2 | 1 | 0 | 14-1 | 7 |
| **შოტლანდია** | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| **ლატვია** | 3 | 1 | 0 | 2 | 1-5 | 3 |
| **ხორვატია** | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| **სან-მარინო** | 3 | 0 | 0 | 3 | 1-13 | 0 |

## კონკაკაფი

### ფინალური შესარჩევი ტურნირი

იამაიკა — ტრინიდადი და ტობაგო 1-0
აშშ — მექსიკა 2-0
ჰონდურასი — კოსტა-რიკა 2-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **აშშ** | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| **იამაიკა** | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| **ჰონდურასი** | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| **კოსტა-რიკა** | 1 | 0 | 1 | 1 | 2-2 | 1 |
| **ტრინიდადი** | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| **მექსიკა** | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |


# მაგთი GSM

მაგთი MAGTI GSM

*ფილარმონია. 26 მარტი. 20 სთ*

## წარმოგიდგენთ

**XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალს**

## „ვარსკვლავები"

ღონისძიების ორგანიზატორები: შ.პ.ს. „ვერიტა", სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქტელერადიო კორპორაცია. საინფორმაციო მხარდაჭერა: რადიო „ფორტუნა" და „ფორტუნა პლუსი", გაზეთები „ლელო", „ალია", „სარბიელი".

*გენერალური სპონსორია მაგთი GSM*

VERITA

თქვენ გელით შეხვედრა ქართული ფეხბურთის ელიტასთან.

106,9 FM FORTUNA ფორტუნა

ალია

სარბიელი

*ანკეტა იხ. უკანა მხარეს (მე-5 გვ.)*


# ევროპაში დიდი სამზადისია, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ყველა კონტინენტზე ამ შემოდგომით დასრულდება. ცხადია, გუნდები უქმად დროს არ კარგავენ და გამალებით ემზადებიან გადამწყვეტი შეხვედრებისთვის. გთავაზობთ ამხანაგური საერთაშორისო მატჩების შედეგებს: შვეიცარია — პოლონეთი 0-4, ხორვატია — ავსტრია 1-0, მაკედონია — ჩეხეთი 1-1, იორდანია — ბულგარეთი 0-2, ბოსნია — უნგრეთი 1-1, საფრანგეთი — გერმანია 1-0, საბერძნეთი — რუსეთი 3-3, სლოვენია — ურუგვაი 0-2, ალჟირი — სლოვაკეთი 1-1, ლიხტენშტეინი — ლატვია 0-2, ლუქსემბურგი — ფინეთი 0-1, ჰოლანდია — ურქეთი 0-0, მალტა-შვედეთი 0-3, იტალია — არგენტინა 1-2, ინგლისი — ესპანეთი 3-0, ჩრდილოეთ ირლანდია — ნორვეგია 0-4, ირლანდია — დანია — გადაიდო.




# გერმანული და ინგლისური პრესა ერთმანეთს დაერია

გერმანულმა გაზეთმა „ბილდმა" ინგლისელების ეროვნულ გრძნობებს შეურაცხყოფა მიაყენა. საფრანგეთი – გერმანიის მატჩის სარეცენზიო წერილში გაზეთის მიმომხილველმა აღნიშნა, რომ მსოფლიო ჩემპიონები კლასით უფრო მაღლა დგანან, ვიდრე გერმანელები. ამასთან, სტატიაში ხაზგასმულია, რომ გერმანელებს ბედმა გაუღიმა, შესარჩევ ტურნირში მეტოქეებად ისეთი მეორეხარისხოვანი გუნდები ჰყავთ, როგორებიც არიან ფინეთი, ალბანეთი, ინგლისი.

ინგლისური გაზეთები აღშფოთებულები არიან იმით, რომ „ბილდმა" მათი ქვეყნის ეროვნული ნაკრები ალბანეთსა და ფინეთს გაუტოლა. ცხადია, ინგლისურ პრესაში სამაგიეროს უხდიან გერმანელებს.

# რუმინეთმა კვიპროსის ტურნირი 12 ლეგიონერით მოიგო, თბილისში სამსაც დაიმატებს

კვიპროსში დასრულდა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ მოაწყო. მასპინძელთა გარდა მასში მონაწილეობდნენ უკრაინის, რუმინეთის და ლიტვის ეროვნული ნაკრები გუნდები. უკანასკნელი ორი, როგორც მოგეხსენებათ საქართველოს მეტოქეები არიან ევროპის VIII შესარჩევ ჯგუფში.

როგორც ვიტყობინებოდით, ტურნირის პირველ დღეს რუმინეთმა უკრაინას, ხოლო ლიტვამ კვიპროსს სძლია. ამგვარად, ფინალში სწორედ ჩვენი მეტოქეები — რუმინელები და ლიტველები გავიდნენ, მანამდის კი მესამე ადგილი კვიპროსისა და უკრაინის გუნდებმა გაითამაშეს. ეს შეხვედრა მასპინძლებმა მოიგეს ანგარიშით 4-3. ახლა კი ფინალურ მატჩზე გეტყვით.

**რუმინეთი: სტელია, კონტრა, პროდანი, ფილიპესკუ (ჩებოტარიუ, 63), გალკა (დ. მუნტიანუ, 46), რადოი, ჯიოანე (კოდრია, 46), ჩივუ (კ.მუნტიანუ, 46), განეა, სტოიკა, ნიკულაე (მოლდოვანი, 63).**

**ლიტვა: ჟუტაუტასი (ლეუსი, 80), გრაჟინაუსი, ჟვირგჟდაუსკასი (დედურა, 60), იოკშასი (სობილისი, 83), გლევეცკასი, ვენჩევიცუში (რაჟანაუსკასი, 46), რ. ჟუტაუტასი, მიკალაიუნასი, პოშკუსი, ფომენკო (დანილევიჩუსი, 38), იანკაუსკასი.**

მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, რუმინელთა უპირატესობით წარიმართა და ეს გასაკვირიც არაა: კვიპროსში ისინი 12 ლეგიონერით ჩავიდნენ, მათგან ფინალურ შეხვედრაში მწვრთნელმა ლადისლაუ ბოლონიმ მხოლოდ ტრავმირებულები ილიე და მუტუ არ ათამაშა. დაკების შთამომავლებმა, პრაქტიკულად, პირველივე ტაიმში მოათავეს საქმე შტუტგარტელი განეას ორი გოლის წყალობით, მერე კი შეხვედრის მეორე ნახევარში თავი გამოიჩინეს შეცვლაზე შესულებმა კ. მუნტიანუმ და კოდრიამ, რომელთა კომბინაციამ საბოლოო შედეგი აღნიშნა — 3-0 რუმინელთა სასარგებლოდ.

კვიპროსული პრესა მაღალ შეფასებას აძლევს ლადისლაუ ბოლონის შეგირდების თამაშს და აღნიშნავს, რომ გუნდმა თანდათან მიიღო დასრულებული სახე და ისევ იმ ძველ ნაკრებს ემსგავსება, რომელმაც ასე წარმატებით ისპარეზა ბოლო წლებში.

როგორც ხედავთ, ლადისლაუ ბოლონის სიტყვები მართლდება, რომელმაც ამას წინათ ოპტიმისტური განცხადება გააკეთა თავისი გუნდის შესაძლებლობების შესახებ. კვიპროსში მან 12 ლეგიონერით დაამტკიცა, რომ ნაკრები სწორ გზაზე დგას, ნეტავ რა იქნება, როცა რუმინეთი 15 ლეგიონერით გვეწვევა თბილისში?

*მინიფეხბურთი*

## ესპანეთი ევროპის ჩემპიონია

*მინიფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ესპანეთისა და უკრაინის ნაკრები გუნდები. დაძაბულ ბრძოლაში ესპანელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2-1.*

*ყველაფერი დამატებით დროში გადაწყდა (ძირითადი — ფრედ 1-1 დამთავრდა): პირინეელმა ხავი სანჩესმა აკრობატულ ნახტომში „ოქროს გოლი" გაიტანა მეკარე კორნეევის კარში.*

# ანკეტა

**საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელების, მწვრთნელის, მსაჯის, გუნდის, გოლის გამოსავლენად ფეხბურთის გულშემატკივართა, სპეციალისტთა გამოკითხვა პრესის, ტელეფონის და ინტერნეტის მეშვეობით შემდეგ ნომინაციებში:**

1. საუკეთესო ფეხბურთელი ____________
2. საუკეთესო მეკარე ____________
3. საუკეთესო მცველი ____________
4. საუკეთესო ნახევარმცველი ____________
5. საუკეთესო თავდამსხმელი ____________
6. საუკეთესო მწვრთნელი ____________
7. საუკეთესო მსაჯი ____________
8. საუკეთესო გუნდი ____________
9. უმნიშვნელოვანესი (საუკეთესო) გოლი ____________

გამოკითხვაში მონაწილეობის მსურველებს შეგიძლიათ ამოჭრათ, შეავსოთ ანკეტა და გამოაგზავნოთ გაზეთის რედაქციაში ან ჩააბაროთ გაზეთების რეალიზატორებთან. შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებზე: 99-96-43; 99-56-14 ან მოგვაწოდოთ ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით:

**WWW. gff. ge – ვებ გვერდი. gff access. sanet.ge - E-mail**

*შენიშვნა: ათწლეულის ნომინაციები ანკეტაში არ შევიდა საინიციატივო ჯგუფში აზრთა სხვადასხვაობის გამო.*

# William HILL

| ინგლისი. პრემიერლიგა | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| ლიდსი — მანჩ. იუნ. | 03.03 | 15.30 | 2,75 | 3,20 | 2,25 |
| არსენალი — ვესტ ჰემი | 03.03 | 19.00 | 1,50 | 3,60 | 5,50 |
| ქოვენთრი — ჩელსი | 03.03 | 19.00 | 2,62 | 3,25 | 2,30 |
| დერბი ქაუნთი — ტოტენჰემი | 03.03 | 19.00 | 2,20 | 3,20 | 2,80 |
| ევერტონი — ნიუკასლი | 03.03 | 19.00 | 2,20 | 3,20 | 2,80 |
| ლესტერი — ლივერპული | 03.03 | 19.00 | 2,75 | 3,20 | 2,25 |
| მანჩ. სიტი — საუთჰემპტონი | 03.03 | 19.00 | 2,20 | 3,25 | 2,75 |
| მიდლსბრო — ჩარლტონი | 03.03 | 19.00 | 2,20 | 3,20 | 2,80 |
| იფსვიჩი — ბრედფორდი | 04.03 | 20.00 | 1,40 | 3,75 | 7.00 |
| სანდერლენდი — ასტონ ვილა | 05.03 | 24.00 | 1,90 | 3,20 | 3,50 |
| **ინგლისი. I დივიზიონი** | | | | | |
| ბირმინგემი — უოტფორდი | 02.03 | 23.45 | 1,66 | 3,30 | 4,50 |
| ბლექბერნი — ვესტ ბრომვიჩი | 03.03 | 19.00 | 1,61 | 3,25 | 5,00 |
| კრ პალასი — პრესტონი | 03.03 | 19.00 | 2,37 | 3,10 | 2,62 |
| კრიუ — ტრანმერი | 03.03 | 19.00 | 1,90 | 3,25 | 3,40 |
| გრიმსბი — ბარნსლი | 03.03 | 19.00 | 2,10 | 3.30 | 2,87 |
| ჰადერსფილდი — ნორვიჩი | 03.03 | 19.00 | 2,20 | 3,25 | 2,75 |
| პორტსმუტი — ბარნლი | 03.03 | 19.00 | 2,20 | 3,25 | 2,75 |
| ქპრ — შეფილდ იუნ. | 03.03 | 19.00 | 2,37 | 3,10 | 2,62 |
| შეფილდ უენსდ. — ჯილინგემი | 03.03 | 19.00 | 2,10 | 3,30 | 2,87 |
| სტოქპორტი — უიმბლდონი | 03.03 | 19.00 | 2,62 | 3,10 | 2,37 |
| ვულვზი — ნოტ ფორესტი | 03.03 | 19.00 | 2,25 | 3,20 | 2,75 |
| ფულჰემი — ბოლტონი | 04.03 | 17.00 | 1,61 | 3,50 | 4,50 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | |
| დანდი იუნ. — სტ. მირენი | 03.03 | 19.00 | 1,66 | 3,40 | 4,33 |
| კილმარნოკი — აბერდინი | 03.03 | 19.00 | 1,80 | 3,40 | 3,60 |
| რენჯერსი — ჰართსი | 03.03 | 19.00 | 1,28 | 4,50 | 8.00 |
| სტ. ჯონსტონი — დანდი | 03.03 | 19.00 | 2,10 | 3,40 | 2,80 |
| დანფერმლაინი — სელტიკი | 04.03 | 18.35 | 8,00 | 3,75 | 1,36 |
| ჰიბერნიანი — მოზერველი | 04.03 | 22.05 | 1,44 | 3,60 | 6.50 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | |
| დორტმუნდი — აინტრახტი | 02.03 | 23.15 | 1,44 | 3,60 | 6,50 |
| ჰანზა — ბაიერნი | 03.03 | 18.30 | 3,50 | 3,20 | 1,90 |
| კოტბუსი — კაიზერსლაუტერნი | 03.03 | 18.30 | 2,37 | 3.30 | 2,50 |
| ვერდერი — ფრაიბურგი | 03.03 | 18.30 | 1,66 | 3,30 | 4,50 |
| შტუტგარტი — ვოლფსბურგი | 03.03 | 18.30 | 2,10 | 3,20 | 3,00 |
| უნტერჰახინგი — ბოხუმი | 03.03 | 18.30 | 1,80 | 3,30 | 3,75 |
| კიოლნი — ჰერტა | 03.03 | 23.15 | 2,37 | 3,30 | 2,50 |
| მიუნხენი — ბაიერი | 04.03 | 20.30 | 2,37 | 3,10 | 2,62 |
| შალკე — ჰამბურგი | 04.03 | 20.30 | 1,57 | 3,50 | 5,00 |
| **შვეიცარია. ნაციონალლიგა** | | | | | |
| სტ. გალენი — ლუგანო | 03.03 | 20.30 | 1,80 | 3,10 | 3,85 |
| სიონი — გრასჰოპერსი | 04.03 | 17.30 | 2,45 | 3,00 | 2,50 |
| ციურიხი — სერვეტი | 04.03 | 19.15 | 1,90 | 3,10 | 3,45 |
| **ესპანეთი. პრემიერადივიზიონი** | | | | | |
| მალიორკა — დეპორტივო | 03.03 | 21.00 | 2,37 | 3,10 | 2,62 |
| სოსიედადი — რაიო | 03.03 | 21.30 | 2,30 | 3,10 | 2,75 |
| რეალი — ბარსელონა | 03.03 | 24.00 | 1,80 | 3,10 | 4.00 |
| სარაგოსა — ვალენსია | 03.03 | 24.00 | 2,40 | 3,00 | 2,70 |
| ოსასუნა — ვალიადოლიდი | 04.03 | 20.00 | 2,37 | 3,10 | 2,62 |
| სელტა — ოვიედო | 04.03 | 20.00 | 1,50 | 3,30 | 6,50 |
| ესპანიოლი — ალავესი | 04.03 | 20.00 | 1,90 | 3,20 | 3,50 |
| ნუმანსია — სანტანდერი | 04.03 | 20.00 | 1,80 | 3,30 | 3,75 |
| ლას პალმასი — ბილბაო | 04.03 | 21.00 | 2,10 | 3,10 | 3,10 |
| ვილიარეალი — მალაგა | 04.03 | 23.00 | 1,61 | 3,25 | 5.00 |
| **იტალია. სერია A** | | | | | |
| რეჯინა — ბოლონია | 03.03 | 18.00 | 2,40 | 2,90 | 2,75 |
| ბრეშა — ლაციო | 03.03 | 23.30 | 3,60 | 3,10 | 1,90 |
| ვერონა — ატლანტა | 04.03 | 18.00 | 2,37 | 2,80 | 2,87 |
| უდინეზე — იუვენტუსი | 04.03 | 18.00 | 3,60 | 3,10 | 1,90 |
| ნაპოლი — ლეჩე | 04.03 | 18.00 | 1,83 | 3,00 | 4,00 |
| მილანი — პარმა | 04.03 | 18.00 | 2,00 | 3,00 | 3,40 |
| პერუჯა — ვიჩენცა | 04.03 | 18.00 | 1,72 | 3,10 | 4,50 |
| ბარი — ფიორენტინა | 04.03 | 18.00 | 2,75 | 2,90 | 2,40 |
| რომა — ინტერი | 04.03 | 23,30 | 1,61 | 3,25 | 5,00 |
| **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | |
| ლიონი — ბორდო | 03.03 | 20.15 | 1,90 | 3.00 | 3,75 |
| ოსერი — მონაკო | 03.03 | 23.00 | 2,10 | 3,20 | 3,00 |
| ბასტია — ტრუა | 03.03 | 23.00 | 1,72 | 3,20 | 4,30 |
| ლილი — მარსელი | 03.03 | 23.00 | 1,72 | 3,40 | 4.00 |
| მეტცი — სენტ ეტიენი | 03.03 | 23.00 | 1,80 | 3,20 | 3,90 |
| პსჟ — ტულუზა | 03.03 | 23.00 | 1,55 | 3,50 | 5,20 |
| სედანი — ლენცი | 03.03 | 23.00 | 1,60 | 3,30 | 4,75 |
| სტრასბური — გენგამი | 03.03 | 23.00 | 2,40 | 3,00 | 2,65 |
| რენი — ნანტი | 03.03 | 23.00 | 2,30 | 3,00 | 2,80 |
| **პორტუგალია. I დივიზიონი** | | | | | |
| ბოავიშტა — ბელენენსეში | 02.03 | 01.00 | 1,45 | 3,55 | 6,00 |
| სალგეირუში — სპორტინგი | 03.03 | 22.00 | 3,05 | 3,00 | 2,10 |
| ამადორა — ფერეირა | 04.03 | 19.00 | 2,35 | 3,05 | 2,60 |
| ლეირია — კამპომაიორენსე | 04.03 | 20.00 | 1,55 | 3,40 | 5,00 |
| ბეირა მარი — მარიტიმუ | 04.03 | 20.00 | 1,70 | 3,15 | 4.30 |
| ავეში — ვიტორია გიმ. | 04.03 | 20.00 | 2,20 | 3,10 | 2,75 |
| ჟილ ვისენტე — ალვერკა | 04.03 | 20.00 | 2,15 | 3,05 | 2,90 |
| ბრაგა — ბენფიკა | 04.03 | 20.00 | 2,62 | 2,90 | 2,50 |
| პორტო — ფარენსე | 04.03 | 01.00 | 1,25 | 4,50 | 8,50 |

**დიდი მწვრთნელები**

# „მისტერი" – ფაბიო კაპელო, გამოჩენილი ფეხბურთელი და მწვრთნელი



თქმა არ უნდა, ფაბიო კაპელო (დაიბ. 1946 წლის 18 ივლისს) ახლა ერთ-ერთი გამოჩენილი მწვრთნელია მსოფლიოში. მას უდიდესი წარმატებები ჰქონდა, თუმცა, როგორც ეს მისი პროფესიისთვის არის დამახასიათებელი, არაერთი სიმწარეც ნახა. ამასთან, მთლად ხელცარიელი არასოდეს დარჩენილა, მაგრამ...

როგორც ეს უამრავ სხვა შემთხვევაშიც ყოფილა, ფაბიოს ფეხბურთი მამამ შეაყვარა. იგი სკოლის მასწავლებელი იყო და ამავე დროს მოყვარული ფეხბურთელიც – „სერია C"-ს კლუბში თამაშობდა. მამას ფაბიო სისტემატურად დაჰყავდა მატჩებზე, თვითონვე ავარჯიშებდა, თუმცა იმასაც აქცევდა ყურადღებას, რომ კარგად ესწავლა. უმცროსი კაპელო არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ტექნიკურ სასწავლებელში შევიდა და „ტექნიკოს – მიწისმზომლის" დიპლომით დაასრულა, თუმცა ცხადია, ფეხბურთი იქცა მის ნამდვილ სპეციალობად. პირველი ძლიერი კლუბი, სადაც კაპელომ დაიწყო თამაში, ქ. ფერარას „სპალი" იყო. „სპალში", რომელიც მაშინ „სერია A-ში" გამოდიოდა, ფაბიომ 4 წელი გაატარა. ამ გუნდის ამოცანა, რა თქმა უნდა, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იყო. სანამ „სპალი" ამ მიზნისათვის თავგამოდებით იბრძოდა, კაპელოს განთქმულმა „რომამ" დაადგა თვალი. „ჯალოროსი" (ყვითელ-წითლები) იტალიელი გულშემატკივრებისათვის, განსაკუთრებით რომაელებისათვის ბევრს ნიშნავს. იმ პერიოდში „რომა" ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდა. იქ კაპელო სამი წელიწადი დარჩა. რომაელებმა ვერ მოახერხეს სატურნირო ცხრილში მერვე ადგილზე მაღლა აწევა, მაგრამ ერთი წარმატება მაინც ჰქონდათ, 1969 წელს იტალიის თასი მოიპოვეს. „რომა" მაშინ უფრო სხვა რამით იყო განთქმული – მას „ჯადოქრად" წოდებული ელენიო ერერა წვრთნიდა, სადაც „ინტერიდან" გადავიდა. გასაგებია, ელენიო ერერასთან ურთიერთობას ახალგაზრდა ფეხბურთელისათვის (იგი მაშინ თავდამსხმელი იყო) უკვალოდ არ ჩაუვლია. ისიც საინტერესოა, რა თქვა მოგვიანებით ელენიო ერერამ კაპელოზე: „იგი შესანიშნავი მოთამაშე იყო, ყველაფერი ჰქონდა, რაც ფეხბურთს სჭირდება. ძნელი არ იყო იმის დანახვა, რომ ბრწყინვალე საფეხბურთო კარიერა ექნებოდა. გასაოცარი მიდრეკილება ჰქონდა პირდაპირ გეომეტრიული სიზუსტისაკენ, უმტკიცეს ხასიათსაც იჩენდა. დისციპლინიანი, სერიოზული ადამიანი იყო, თავი არასასურველი აზრებით როდი ჰქონდა გამოტენილი. უაღრესად ინტელიგენტური, მეტისმეტად გატაცებული იმით, რასაც მინდორზე ჰქმნიდა. მაშინვე შეიძლებოდა იმის შემჩნევა, რომ შემდეგში შესანიშნავი მწვრთნელი გახდებოდა".

„რომადან" კაპელო „იუვენტუსში" გადავიდა, სადაც 1970-1976 წლები გაატარა. ტურინში მან სპეციალობა შეიცვალა. თავდასხმიდან უკან დაიხია და შეტევის საუცხოო ორგანიზატორი გახდა. ერთ-ერთი საფეხბურთო ენციკლოპედია მას ასე ახასიათებდა: „მინდვრის შუაგულის კლასიკური მოთამაშე... მოაზროვნე, ნამდვილი კონსტრუქტორი. მას შეეძლო ერთგვარი მაყოვნებლობა ბურთის ართმევისათვის ბრძოლაში გადაცემის უმაღლესი კულტურით შეეცვალა. მისი, გნებავთ მოკლე, გნებავთ, გრძელი გადაცემები უაღრესად ზუსტი და მიზანმიმართული იყო. ისეთი გაწონასწორებული თამაში ჰქონდა, მსოფლიოს უდიდეს საფეხბურთო დირიჟორებს რომ ახასიათებთ".

ეს ის დრო იყო, როცა „იუვენტუსში" ბევრი გამოჩენილი ფეხბურთელი გამოდიოდა: ძოფი, სალვადორი, კაუზიო, ანასტაზი, ბეტეგა (კლუბის ახლანდელი ვიცე-პრეზიდენტი), სავოლდი, ბრაზილიელი ალტაფინი (რომელიც ბრაზილიის ნაკრებში მაცოლას სახელით თამაშობდა), მაშინ სრულიად ახალგაზრდები ჯენტილე შირეა, ტარდელი და სხვები. ის 5 სეზონი, რომელიც კაპელომ ტურინში გაატარა, კლუბისათვის მეტად წარმატებული გამოდგა. „იუვენტუსმა" სამჯერ მოიპოვა პირველი ადგილი, ორჯერ – მეორე.

1972 წლის 29 აპრილს კაპელოს დებიუტი ჰქონდა იტალიის ნაკრებში ბელგიელების წინააღმდეგ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში. მაშინ იტალიელებს ფერუჩიო ვალკარეჯი წვრთნიდა, რომლის ხელში, ისევე, როგორც მომდევნო ხელმძღვანელის ფულვიო ბერნანდინის დროს, რაიმე დიდი წარმატება არა ჰქონიათ, თუმცა თვით კაპელოს რამდენიმე შეხვედრა არასოდეს დაავიწყდება. 1973 წელს აღინიშნებოდა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის დაარსების 75 წლისთავი. საზეიმო მატჩებისათვის გადაწყდა ბრაზილიისა და ინგლისის ნაკრებების მოწვევა. საქმე ის არის, რომ 1970 წლის მსოფლიო პირველობის ფინალში იტალიელები სასტიკად დამარცხდნენ ბრაზილიელებთან და ახლა, თუნდაც ნაწილობრივი, რევანშისაკენ მიისწრაფოდნენ. შემდეგ ისინი აპირებდნენ ინგლისელებთან თამაშს, რომლებთანაც მთელი ისტორიის განმავლობაში ერთი მოგებაც კი არა ჰქონდათ. საინტერესოა, რომ ამ შეხვედრის ნამდვილი გმირი სწორედ 27 წლის კაპელო გახდა. 9 ივნისს რომის, ოლიმპიურ სტადიონზე ლეაოს, ზე მარიას, კლოდოალდოს, რიველინოს და სხვა ბრაზილიელებს დაუპირისპირდნენ ძოფი, ფაკეტი, ბენეტი, ბურგნიჩი, მაცოლა, რივერა, რივა და რა თქმა უნდა, კაპელო. იტალიელები ამ შემთხვევაში გაცილებით უკეთესად გამოიყურებოდნენ. თამაშის დასაწყისში რივამ გახსნა ანგარიში, მატჩის ბოლოს კი კაპელომ კიდევ ერთი გოლი გაიტანა – 2-0.

14 ივნისს ტურინში „სკუადრა აძურა" ინგლისელებს შეხვდა და მატჩს უკვე აღნიშნული მიზეზის გამო, შეიძლება ითქვას, ისტორიული მნიშვნელობაც კი მიენიჭა. როგორც მიმომხილველები აღნიშნავდნენ, იტალიელებმა, როგორც იყო, თავიდან მოიშორეს ესოდენ უსიამოვნო არასრული ფასოვნების კომპლექსი. ამჯერად ისინი ინგლისელებზე უკეთესები იყვნენ. ანგარიში ანასტაზიმ გახსნა, ხოლო მეორე გოლი ისევ კაპელომ გაიტანა – 2-0. 14 ნოემბერს ლონდონში მატჩ-რევანში გაიმართა. იგი მეტად შეუპოვარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც 86-ე წუთზე კაპელომ (!) გაიტანა.

კაპელომ სულ „სერია A"-ში 232 მატჩი გამართა და 45 გოლი გაიტანა, ნაკრებში კი 32-ჯერ ითამაშა და 8 გოლის ავტორი გახდა.

ხომ მშვენიერი ფეხბურთელი იყო კაპელო, მაგრამ მისი სამწვრთნელო კარიერა კიდევ უფრო ბრწყინვალე გამოდგა. სათანადო ლიცენზიის მიღების შემდეგ მან 1985 წელს მუშაობა დაიწყო „მილანში", სადაც დაამთავრა კიდეც თამაში. ჯერ ჭაბუკთა და ახალგაზრდულ გუნდებთან მუშაობდა, თუმცა 1986-87 წლების სეზონის მიწურულში დროებით შეცვალა გუნდიდან წასული მთავარი მწვრთნელი ნილს ლიდჰოლმი.

„მილანის" ძირითად გუნდს სათავეში ჩაუდგა არიგო საკი, რომელმაც ახალი იდეები მოიტანა და განახორციელა. აქამდე იტალიაში არავინ იყენებდა პრესინგს, ამასთან, ვინმეს არც ისეთი დიდებული ფეხბურთელები ჰყავდა, როგორც რუუდ გულიტი, მარკო ვან ბასტენი და ფრანკ რაიკაარდი იყვნენ. ერთი სიტყვით, რამდენიმე წლის განმავლობაში „მილანი" იტალიაშიც იმარჯვებდა და ევროპულ ასპარეზზეც ბრწყინავდა.

ასეთმა წარმატებებმა საკის იტალიის ნაკრებისაკენ გაუკაფა გზა, „მილანი" კი კაპელოს გადაულოცა. ამ დროიდან მოყოლებული, ფეხბურთელები და გულშემატკივრები კაპელოს „მისტერს" უწოდებდნენ.

კაპელო მართლაც რომ დიდებულად გაუძღვა საქმეს. პირდაპირ გასაოცარია, მსოფლიოში უძლიერესად აღიარებულ ლიგაში „მილანმა" ზედიზედ სამჯერ მოიპოვა ჩემპიონობა! მართალია, ზოგი კრიტიკოსი, ცხადია, იმასაც წერდა, რომ გუნდი „არც ისე საინტერესოდ თამაშობდა", რომ საჭირო იყო უკეთესი სანახაობითი მხარე. ეს სიტყვები, გასაგებია კლუბის პატრონ სილვიო ბერლუსკონისაც ჩააწვეთეს, მაგრამ კაპელო „მილანს" მაინც არ გამოეთხოვებოდა, თუ არა ფრიად უსიამოვნო რამ. როგორც კი ფაბიოს ახალი კონტრაქტის დრო დადგა, კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ (იმ მომენტში ბერლუსკონი მთლიანად პოლიტიკაში იყო გართული) კაპელოს გააცნო ახალი პროტოკოლი, სადაც მწვრთნელს ვალდებულება უნდა ეკისრა მომავალ სეზონშიც აუცილებლად მოეპოვებინა პირველი ადგილი. ეს უკვე მეტისმეტი იყო. აღშფოთებულმა კაპელომ მაგრად გამოიჯახუნა „მილანის" კარი და ესპანეთში გადაბარგდა, სადაც მადრიდის „რეალს" ჩემპიონობა მოუტანა. ამასობაში „მილანის" საქმეები სულ უკანუკან წავიდა. ვის უნდა ეხსნა მდგომარეობა? ვერც ურუგვაელი ოსკარ ტაბარესი და ვერც დაბრუნებული არიგო საკი ვერაფერს გახდნენ. ისევ კაპელოს შეეხვეწნენ, რაიმე უხერხულ კონტრაქტზე აღარც კი იყო ლაპარაკი, ოღონდ „მილანი" გადაერჩინა. კაპელოს გულმა ველარ მოუთმინა და დაბრუნდა, მაგრამ სიმაღლეებიდან „დაგორებულ" გუნდს ვერაფერი უშველა. დიახ, ასეა, დანგრევა ადვილია, ახლის შენება კი... როცა „მილანმა" წააგო „რომასთან" 0-5, „მისტერმა" ჩათვალა, რომ ასეთ გუნდში დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა. „მრცხვენია, დიახ, მრცხვენია" თქვა და მწვრთნელობიდან გადადგა.

1999 წლის ზაფხულიდან კაპელო „რომას" მწვრთნელი გახდა, კლუბისა, სადაც 30 წლის წინათ მან იტალიის თასი მოიპოვა. საინტერესოა, რომ იქამდე „რომა" სულ ორჯერ იყო იტალიის ჩემპიონი, პირველად 1941-42 წლების სეზონში, იმის ხარჯზე, რომ მისმა გულშემატკივარმა პოლკოვნიკმა ტრასტევერმა (ომის პირობებში!) არმიაში გაწვევისაგან იხსნა გუნდის 6 წამყვანი მოთამაშე, მეორედ კი 1982-83 წლებში, სახელოვან მწვრთნელ ნილს ლიდჰოლმის ხელმძღვანელობით. ახლა კაპელოს ევალებოდა თუ პირველ წელს არა, შემდეგში მაინც მოეპოვებინა „სკუდეტო".

პირველ სეზონში კაპელო მართლაც ვერაფერს გახდა, მაგრამ მერე მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ჩამოყალიბდა მძლავრი ანსამბლი, ზოგიერთ პოზიციაზე, რომელზეც არ იყვნენ მაღალი კლასის შემსრულებლები, სხვები, გაცილებით უკეთესი ფეხბურთელები მიიწვიეს. აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს არგენტინელი გაბრიელ ომარ ბატისტუტა, რომელსაც, ცხადია, კარგად იცნობენ მთელ მსოფლიოში. მეორეა ასევე არგენტინელი ვალტერ სამუელი, რომელზეც კაპელომ თქვა: „მეცინება, როცა ამბობენ, რომ სამუელის თამაში გარკვეული სიურპრიზია. კარგა ხანია ვიცი, რომ იგი დიდი ფეხბურთელია და ძალიან დიდი მადლობელი ვარ კლუბის ხელმძღვანელობისა, რომელმაც იგი მოიწვია. როდესაც ერთ-ერთ ინტერვიუში კაპელომ მოწვეული ვარსკვლავების შესახებ განაცხადა, მათ უნდა ჰქონდეთ გუნდის ძირითად ბირთვში შერწყმის უნარი. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდებიან „აი მეორე პრინციპიც, რომელსაც ყოველთვის მივდევდი: ვინც სერიოზულად არ ვარჯიშობს, მას სხვა მოთამაშეები ვერ შეეგუებიან. ისინი თვითონ დაატოვებინებენ გუნდს იმ მოთამაშეებს, რომლებიც ზარმაცობენ, უკმაყოფილებას გამოთქვამენ, როცა მათ ცვლიან, ანდა, ვერ იტანენ, როცა სათადარიგოთა სკამზე სვამენ, გუნდში აყალმაყალს, აურზაურს იწვევენ". ბევრს კაპელოს მუშაობის სტილი არ მოსწონს, ავტორიტარულს უწოდებს, მაგრამ გულშემატკივრების დიდი უმრავლესობა ფიქრობს, რომ მან „რომას" გამარჯვებულის მენტალიტეტი შესძინა", საბრძოლო სულისკვეთება გაზარდა.

კაპელო თვლის, რომ ნაადრევი ეიფორია „რომას" მხოლოდ ზიანს მოუტანს, იგი ჩემპიონობისათვის ბრძოლაში „იუვენტუსს" მიიჩნევდა, რომელსაც „ერთი უპირატესობა" ჰქონდა – „ბებერი ქალბატონი" ადრე გამოეთხოვა ჩემპიონთა ლიგას და მთელ თავის ყურადღებას ახლა „სერია A"-ს უთმობს. ამ დღეებში ეს „უპრატესობა" კაპელოს გუნდმაც მიიღო – „რომა" ორი მატჩის ერთობლიობაში „ლივერპულთან" დამარცხდა და ამრიგად, უეფას თასზე მონაწილეობა შეწყვიტა. ისე კი, იტალიელი გულშემატკივრებისათვის ევროპულ საკლუბო ტურნირებში მონაწილეობას და იქ მოპოვებულ წარმატებას გაცილებით უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე „სკუდეტოს". ახლა „რომა" მთელ თავის შესაძლებლობებს იტალიის ჩემპიონობისათვის ბრძოლას მოახმარს.

„ჯალოროსის" მოთამაშეებს შორის 4 ბრაზილიელია. საინტერესოა, რომ სამი მცველის: კაფუს, ალდაირისა და ზაგოს საერთო ასაკი 96 წელია (!), მაგრამ ისინი ახლაც შეუცვლელნი არიან. 35 წლის ალდაირი აქ 1990 წლიდან თამაშობს და როცა იგი დაშავებულია, დაცვაში ბზარი ჩნდება. ახლა იგი მწყობრს დაუბრუნდა, ისევე როგორც შესანიშნავი ბრაზილიელი ნახევარმცველი ემერსონი. „ინტერნაციონალურ ანსამბლში" შედიან არგენტინელები ბატისტუტა, ბალბო და სამუელი, ურუგვაელი გიგუ, ფრანგები კანდელა და ზებინა, იაპონელი ნაკატა. რა თქმა უნდა, აქ იტალიის ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელიც უნდა ვახსენოთ: ტოტი, დელვეკიო, მონტელა, დი ფრანჩესკო. ვთქვათ ისიც, რომ ახალგაზრდა მეკარე ლუპატელის, რომელიც ხშირად ცვლის გამოცდილ ანტონიოლის, „რომას" ფანატები „ჩვენს ბარტეზს" უწოდებენ.

მოიპოვებს თუ არა „რომა" თავის მესამე „სკუდეტოს"? მისი გულშემატკივრები ფიქრობენ, რომ მოიპოვებს, რახან „ჯალოროსის" ხელმძღვანელობს ფაბიო კაპელო..

**ბიძი გამრეკელი**

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## უნგრეთის მთავრობა ფეხბურთზე ზრუნავს

**მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში უნგრეთი საქართველოს მეტოქეა. ამ ქვეყანაში სერიოზულად ფიქრობენ, რომ ეროვნულ ნაკრებს ძალუძს მოიპოვოს იაპონია-კორეის საგზური. დღეს, ფაქტობრივად, მთელი უნგრეთი, პირველ რიგში, უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლები ამ იდეის ხორცშესხმით არიან დაკავებულნი. ასე, ქვეყნის 37 წლის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი 12 წელია გამოდის მეოთხე დივიზიონის კლუბ „ფელჩუტში“ და ხშირად ამის გამო მთავრობის სხდომებსაც აცდენს. ორბანი სისტემატურად ხვდება უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციისა და ეროვნული ნაკრების მესვეურებს და მაქსიმალურ დახმარებას უწევს მათ სხვადასხვა, პირველ რიგში, ფინანსური პრობლემების მოგვარებაში.**



## პიერლუიჯი კოლინა — პოპულარული არბიტრი

პიერლუიჯი კოლინა, შესაძლოა, ყველაზე პოპულარული მსაჯია ფეხბურთის სამყაროში. იგი იტალიის „სერია A“-ს მატჩების არბიტრობასთან ერთად ბევრ საერთაშორისო შეხვედრასაც უძღვება.

კოლინა დაიბადა 1960 წლის 13 თებერვალს, ბოლონიაში. პროფესიით ფინანსისტია, ფლობს ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებს. მსაჯობს 1977 წლიდან, 1991 წლიდან კი „სერია A“-ს არბიტრია. დღეისათვის 150-ზე მეტი მატჩი ჩაატარა იტალიის უმაღლეს ლიგაში, მეტი, ვიდრე ნებისმიერმა იტალიელმა მსაჯმა. გარდა ამისა, იგი 1996 წლის ოლიმპიადის ფინალური მატჩის და ჩემპიონთა ლიგის 1998-99 წლის ფინალის არბიტრი იყო.

როგორც კოლინა ამბობს, როცა ჩემპიონთა ლიგის ჰიმნი გაისმის, მას ტანში აჟრიალებს. იგი ნამდვილი დიქტატორი მსაჯია, მოთამაშეები უხმოდ ემორჩილებოდნენ, ვინც სიტყვას უბრუნებს, ყვითელი ბარათით სჯის, ფანტომასის გარეგნობის კოლინას უყვარს დასჭექოს ჯიუტ ფეხბურთელს, სჯობია მას საერთოდ არ შეეკამათო.

კოლინა მინდორზე უშვებს მკაცრ ძალისმიერ შეტაკებებს, ხისტ თამაშს, მაგრამ ამისგან ყოველგვარ უხეშობას.

კოლინა სიურპრიზების მოყვარულიცაა. ერთხელ სერია B-ში მან გუნდებს კარის გაცვლის ნება არ დართო, რადგან ერთერთი კლუბის ფორმა [illegible] ეფექტური იყო. იყო შემთხვევა, როცა შეწყვიტა მატჩი, რადგან ტრიბუნებზე [illegible] იტალიელ მსაჯთა შეურაცხმყოფელი ლოზუნგები. ერთხელ კი ასეთი კაზუსი: ჯერ დანიშნა პენალტი [illegible] „ინტერ“ — „იუვენტუსის“ მატჩში, შემდეგ კი თანამსაჯთან მოულოდნელად შეუცვლია გადაწყვეტილება. ბოლოს 1999-2000 წლების იტალიის ჩემპიონატის უმნიშვნელოვანესი მატჩი „პერუჯასა“ და „იუვენტუსს“ შორის, როცა სტადიონს ტროპიკული თავსხმა დაატყდა, კოლინას შეეძლო შეეწყვიტა მატჩი და გადაედო იგი, მაგრამ მან დიდხანს მოიცადა და მაინც განაახლა თამაში.

იტალიურმა მსაჯთა კოლეგიამ ყველა ამ შემთხვევაში კოლინას გადაწყვეტილება გაამართლა.

## ტიფოზებმა „ფიორენტინას“ მეპატრონეებს შეუტიეს

ფლორენციული გუნდის გულშემატკივრებმა კლუბის მეპატრონეებს შეუტიეს მას შემდეგ, რაც შეიტყვეს კოლექტივიდან მთავარი მწვრთნელის ფატიხ თერიმისა და გენერალური დირექტორის ჯანკარლო ანტონიონის განთავისუფლება. „ფიორენტინას“ გულშემატკივართა ასოციაციის პრეზიდენტმა ვალტერ ტანტურლიმ ასეთი კომენტარი გაუკეთა სიტუაციას: „ჩვენ აღშფოთებული ვართ კლუბის მეპატრონეთა არათანმიმდევრული პოლიტიკით. შარშან ტრაპატონის სეზონიც არ დაამთავრებინეს, მერე თერიმის ჯერიც დადგა, ისიც ნახევარი წლის შემდეგ მოკვეთეს. გარდა ამისა, თუ ვინმე იმსახურებდა წახალისებას ნაყოფიერი მუშაობის გამო, ანტონიონი იყო, არც ის დააყენეს. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ მოვითხოვოთ კლუბის მეპატრონეთა ვადამდელი არჩევნები.

ამასობაში გამოცხადდა „ფიორენტინას“ ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობაც — 36 წლის რობერტო მანჩინი ადრე იყო „ლაციოს“, „სამპდორიას“ და „ბოლონიას“ ფორვარდი.

## „იტალიურ პასპორტზე უარი ვთქვი“

**ამ დღეებში გაბრიელ ბატისტუტამ აზრი გამოთქვა ესოდენ პოპულარულ „საპასპორტო საკითხზე“. იგი სულაც არ აპირებს იმის გამოყენებას, რომ იტალიელი წინაპრები ჰყავდა და ყოველთვის არგენტინულ პასპორტს შეინარჩუნებს.**

**— ვიცი, საიდანაც იყვნენ წარმოშობით ჩემი წინაპრები. რომ მომენდომებინა, სრულიად იოლად გავხდებოდი „ევროპელი“, თუმცა მაინც ვამჯობინე არგენტინელად დავრჩე.**

**ბატისტუტას დიდი პაპა და დიდი დიდედა წარმოშობით იტალიურ პროვინცია ფრიულიდან (აქედან არის დინო ძოფიც) არიან, იტალიის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. ისინი 100 წლის წინათ არგენტინაში გადასახლდნენ. თვით ფეხბურთელი უკვე ათი წელია იტალიაში თამაშობს და მას არაერთხელ სთხოვეს მიეღო ამ ქვეყნის მოქალაქეობა — ადგილი გაეთავისუფლებინა კიდევ ერთი ლეგიონერისათვის. ეს მოხდა ადრე „ფიორენტინაში“, იგივე წინადადება მისცა „რომამაც“, მაგრამ ბატისტუტა მთხოვნელებს ცივი უარით ისტუმრებდა, მაშინ, როცა, სხვა მის ადგილზე დაუყოვნებლივ დათანხმდებოდა.**

## საპრიზო ფონდი — 40,19 მილიონი დოლარი

40,19 მილიონი დოლარია მსოფლიოს მეორე საკლუბო ჩემპიონატის საპრიზო ფონდი, რომელიც 29 ივლისიდან 12 აგვისტომდე ესპანეთში გაიმართება. გამარჯვებული ერთნახევარ მილიარდ პესეტს (8,26 მლნ. დოლარი) მიიღებს, მეორე პრიზიორი — მილიარ პესეტს (5,51 მილიონი დოლარი), მესამე — 700 მილიონს (3,85 მილიონი დოლარი), მეოთხე — 500 მილიონს (2,75 მილიონი დოლარი). დანარჩენი თანხა კი 8 კლუბს შორის განაწილდება, რომლებიც საპრიზო ადგილებზე ვერ გამოვიდნენ.

## შეიძლება ფეხბურთს ნობელის მშვიდობის პრემია მიენიჭოს!

**შვედმა იურისტმა ლარს გუსტაფსონმა ნობელის მშვიდობის პრემიების მიმნიჭებელ კომიტეტს 2001 წლის ნომინანტებს შორის შეატანინა ფეხბურთი, რახან იგი დიდ როლს ასრულებს ხალხთა შორის ურთიერთგაგებაში. მართალია, 2000 წელს ფანატიკოსებს შორის შეტაკებისას ათიოდე გულშემატკივარი დაიღუპა, მაგრამ ფეხბურთმა განუზომლად დიდი როლი შეასრულა იმ ქვეყნების კონტაქტშიც კი, რომლებიც ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ გადაკიდებული. გუსტაფსონმა მაგალითად მოიყვანა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატში აშშ-სა და ირანის ნაკრებების შეხვედრა.**

**ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი ოქტომბერში გამოცხადდება, ისე რომ, ეს ჯილდო შეიძლება წელს ფიფამ მიიღოს.**

## ცსკას აქციების 49 პროცენტი ინგლისელებს ეკუთვნით

გაიმართა მოსკოვის საფეხბურთო კლუბ ცსკას აქციონერთა კრება, რომელმაც აირჩია ახალი პრეზიდენტი — ბიზნესმენი ევგენი გინერი. სხვა კანდიდატურა არავის წამოუყენებია. ახლა ცსკას აქციები ასეა განაწილებული. 49 პროცენტი ეკუთვნის ინგლისურ კომპანიას, 51 პროცენტი კი განაწილებულია თვით ცსკასა და ერთ რუსულ კომპანიას შორის.

## კვლავ თამაში სურს?

**როგორც ცნობილია, 40 წლის ლოთარ მათეუსმა არ ისურვა მაინის ფრანკფურტის „აინტრაჰტის“ მთავარი მწვრთნელობა და მიზეზად ის მოიყვანა, რომ ეს კლუბი მეტად რთულ სიტუაციაშია. მიმომხილველები კი ეჭვობენ, რომ ეს უარი მათეუსის სურვილით არის გამოწვეული, კვლავ განაგრძოს თამაში, თუნდაც თავისივე „ბაიერნის“ სათადარიგო ფეხბურთელად.**

# უფავორიტო ჩემპიონატი

## საფრანგეთის პირველობის მიმოხილვა

საფრანგეთის პირველობა ევროპულ წამყვან საფეხბურთო ჩემპიონატებიდან ყველაზე ადრე იწყება, ზამთარში კი სამკვირიანი შესვენებაა. ადრე გათამაშებას ყოველთვის ჰყავდა გამოკვეთილი ფავორიტები. კომენტატორები ოდესღაც სუპერკლასის კლუბად თვლიდნენ კოპასა და ფონტენის „სტად დე რეიმსს“, შემდეგ დადგა „სენტ-ეტიენის“ დრო. ევროპის ჩემპიონების თასი მოიპოვა მარსელის „ოლიმპიკმა“ და... მეორე დივიზიონში აღმოჩნდა! ახლანდელი სეზონის დასაწყისში თითქოს კარგი შესაძლებლობები ჰქონდათ „მონაკოსა“ და „პარი სენ-ჟერმენს“. რა მცდარი გამოდგა ასეთი შეფასება?! თუმცა, მივყვეთ მოვლენების მსვლელობას.

საზამთრო შესვენების წინ, XXII ტურის შემდეგ, 39 ქულით ლიდერობდა „ნანტი“. ამას, შეიძლება ითქვას, არავინ მოელოდა, რადგან პირველ წრეში რეინალდ დენუეის „შეგირდებმა“ საკუთარ მინდორზე სასტიკი მარცხი 0-5 იწვნიეს „ბორდოსგან“. რა იმედი უნდა ჰქონოდა ასეთ გუნდს? მაგრამ, აი ტური ტურს მისდევდა, დენუეიმ გაითვალისწინა მწარე გაკვეთილი და გუნდმა გაცილებით უკეთ დაიწყო თამაში. მეორე წრის პრინციპულ მატჩში „ნანტმა“ შეძლო სტუმრად „ბორდოსთან“ რევანშის აღება — 2-0. „ჟირონდისტების“ საუკეთესო სნაიპერი პაულეტა საიმედოდ იყო ჩაკეტილი. ძლიერად ითამაშა „ნანტის“ რუმინელმა თავდამსხმელმა, ეროვნული ნაკრების ფეხბურთელმა ვიორელ მოლდოვანმა, რომელმაც გახსნა ანგარიში, მეორე გოლის ავტორი კი, ნახევარმცველი ერიკ კარიერი იყო. „დამამცირებელი დამარცხება „ლია ბოჟუარის“ სტადიონზე დავიწყებულია. ამასთან, გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ახლანდელ მზადყოფნას. მახარებს მოთამაშეების შემართება და თავდადება“, — განაცხადა რეინალდ დენუეიმ.



„სედანი“ — „პსჟ“

ექს-ფავორიტი „პსჟ“ ამ დროს მხოლოდ მეთერთმეტე ადგილზე იყო. ამიტომ გაოცება გამოიწვია საფრანგეთის ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ძვირად შეძენილი ნიკოლა ანელკას განცხადებამ: „კიდევ გვაქვს ოქროს მედლებისთვის ბრძოლის შესაძლებლობები. ჩემთვის პირადად მნიშვნელობა არა აქვს, მეორე ადგილზე ვიქნებით ფინიშის შემდეგ, მესამეზე თუ მეათეზე. მხოლოდ ერთი მიზანი დავისახეთ — ჩემპიონობა. ვფიქრობ, შეიძლება ამის მიღწევა. მოთამაშეებს სჯერათ მწვრთნელ ლუის ფერნანდესისა, გუნდს შინაური პრობლემები არა აქვს. სატურნირო სიტუაცია კი ისეთია, რომ 3-4 მოგება ლიდერობას დაგვიბრუნებს“.

თქმა არ უნდა, ეს სიტყვები ძალზე ოპტიმისტური აღმოჩნდა.

საინტერესო განცხადება გააკეთა რუსმა ფეხბურთელმა ალექსეი სმერტინმა, რომელიც „ბორდოში“ თამაშობს:

— პირველი წრის ბოლოს ვლიდერობდით, შემდეგ ცოტა უკანდახევა მოგვიხდა, თუმცა, ეს გასაკვირიც არ არის. საფრანგეთის ჩემპიონატში არავინ თამაშობს სტაბილურად. ეს არის ახლანდელი პირველობის მთავარი თავისებურება. „პსჟ“ დიდხანს იყო პირველ ადგილზე, შემდეგ კი ღრმად ჩაიძირა. „ბასტია“ მოწინავეთა შორის იყო, ახლა სატურნირო ცხრილის შუაგულშია. „ნანტი“ თითქმის აუტსაიდერად მიაჩნდათ, ახლა ლიდერია. გამოდის, რომ ყველა გუნდს დაახლოებით თანაბარი კლასი აქვს და ყველაფერს საბრძოლო სულისკვეთება სწყვეტს. ისე კი, საფრანგეთში ყველა ფეხბურთელი თავგანწირვით თამაშობს. შემსრულებელთა დონეც საკმაოდ მაღალია, ბევრია ლეგიონერიც: ბრაზილიელები, ტრადიციულად ტექნიკური იუგოსლავი ფეხბურთელები, ნიჭიერი მოთამაშეები საფრანგეთის ყოფილი კოლონიებიდან. ჩვენთან, მაგალითად, 4 შავკანიანი თამაშობს, ფორმალურად ყველა ფრანგად ითვლება, თუმცა კოლონიებიდან ჩამოვიდნენ.

როგორც სმერტინმა განაცხადა, დღევანდელი ფრანგული ფეხბურთის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია მეტად ხისტი თამაში, ბრძოლა მინდვრის თითოეული მეტრისათვის. ამასთან, ტექნიკური აღჭურვილობაც საკმაოდ მაღალია.

საზამთრო არდადეგებიდან დაბრუნებულმა „ნანტმა“ შინ ფრედ 1-1 ითამაშა „ოსერთან“, მაგრამ 40 ქულით ლი-



„ბორდო“ — „მეტცი“

დერობა შეინარჩუნა. აი XXIV ტურში კი, სტუმრად დამარცხდა „ლიონთან“ — 1-3, რის შემდეგ „ლილი“ დაეწია („სენტ-ეტიენს“ მოუგო 4-1). განთქმულ ბრაზილიელ თავდამსხმელ სონი ანდერსონს „ნანტთან“ გოლი არ გაუტანია, მაგრამ პარტნიორ სტივ მარლესთან ერთად შესანიშნავად თამაშობდა. ამ მომენტისათვის 12 მატჩიანი უხეირო პაუზის შემდეგ, როცა „პსჟ“-მ ერთი შეხვედრაც ვერ მოიგო, პარიზელებმა როგორც იყო, დაამარცხეს „ლანსი“ — 1-0, შეიძინეს ბრაზილიის ნაკრების ნახევარმცველი ვამპეტა და კიდევ ერთი ოპტიმისტური განცხადება გააკეთეს: „ახალი ვარსკვლავი ჩემპიონობის მოპოვებაში დაგვეხმარება“. აი, ეს კი სრულიად უსაფუძვლო გამოდგა: XXV ტურში პსჟ-მ ჯერ სტუმრად წააგო „ნანტთან“ — 0-1, შემდეგ კი შინ „გენგამთან“ — 1-3, რასაც უკვე „ოლიმპიკთან“ (მარსელი) მარცხი მოჰყვა — 0-1. ამის შემდეგ, ცხადია, ყოველგვარი ლაპარაკი ჩემპიონობაზე შეწყდა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XXVI ტურში „ლილისა“ და „ნანტის“ შეხვედრას. ამ მომენტისათვის მათ 43-43 ქულა ჰქონდათ და პირველ-მეორე ადგილებს ინაწილებდნენ. ქ. ლილის პატარა სტადიონი „გრიმონპრეზ-ჟორისი“ ყოველთვის სავსეა მაყურებლებით. ეს გასაგებია — „ლილი“ ხომ ამ სეზონში დაბრუნდა უმაღლეს დივიზიონში. კლუბს წვრთნის ვახიდ ჰალილჰოჯიჩი, ბოსნიელი, რომელიც ადრე... „ნანტში“ თამაშობდა... ამ მატჩამდე „ნანტს“ ლიგაში ყველაზე უფრო შედეგიანი თავდასხმა ჰყავდა (42 გოლი გაიტანა), „ლილს“ კი საუკეთესო დაცვა (19 გაშვებული ბურთი). „ნანტი“, როგორც ყოველთვის, უტევდა. მის შეტევებს წარმართავდა შესანიშნავი დირიჟორი სტეფან ზიანი. სტუმრები ახლოს იყვნენ მოგებასთან — ანგარიში 44-ე წუთზე გახსნა კარიერმა, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე დიაიემ იხსნა ქულა — 1-1. ამან გარკვეული შესაძლებლობები მისცა „ბორდოს“, „სედანსა“ და „ლიონს“, რომლებიც მიუახლოვდნენ ლიდერებს.

ბოლო, XXVII ტურს დიდად არ შეუცვლია მდგომარეობა. „ლილი“ სტუმრად თამაშობდა მასავით მეორე დივიზიონიდან დაბრუნებულ „გენგამთან“ და გაიმარჯვა 1-0. ასეთივე მცირე უპირატესობით „ნანტმა“ შინ სძლია „სტრასბურს“, ხოლო „ბორდომ“ ასევე შინ „ოსერს“. „სედანმა“ სტუმრად მოუგო 2-0 „სენტ-ეტიენს“, რომელსაც მას შემდეგ, რაც ექვსი ქულით დააჯარიმეს, უკვე უმაღლესი დივიზიონის დატოვება ემუქრება. ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთაგან დაზარალდა მხოლოდ „ლიონი“, რომელიც სტუმრად მხოლოდ ფრეს — 1-1 დასჯერდა კიდევ ერთ აუტსაიდერ „ტულუზასთან“.

ამრიგად, დღეისათვის ლიდერთა ხუთეული (ცხადია, სწორედ ისინი არიან ჩემპიონობის პრეტენდენტები) ასე გამოიყურება: „ლილმა“ და „ნანტმა“ მოაგროვეს 47-47 ქულა, თითო ქულით ნაკლები აქვთ „ბორდოსა“ და „სედანს“, „ლიონს“ კი 43 ქულა აქვს.

რა არის მოსალოდნელი ახლა, როცა ჩემპიონატის დამთავრებამდე სულ 7 ტური რჩება?

ორკვირიანი შესვენების შემდეგ ჩემპიონატი 3 მარტს განახლდება. XXVIII ტურში „ლილი“ მიიღებს ფრანგული ფეხ-



„ტულუზა“ — „სენტ-ეტიენი“

ბურთის ყოფილ გრანდს, მარსელის „ოლიმპიკს“. მარსელელებს ახლა უმაღლესი ლიგის დატოვება ემუქრებათ (32 ქულა აქვთ), მაგრამ კლუბის მესვეურები თვლიან, რომ მრავალნაცადი ხავიერ კლემენტე მაინც იხსნის სიტუაციას. „ნანტი“ სტუმრად თამაშობს „რენთან“, რომელიც 39 ქულით მეშვიდე ადგილზეა და, ამრიგად, უეფას თასზე მონაწილეობისათვის იბრძვის. მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება ძველი მეტოქეების „ლიონისა“ და „ბორდოს“ შეხვედრას, „სედანი“ კი „ლანსს“ მიიღებს, რომელიც 32 ქულით ახლოა სახიფათო ზონასთან!

3 მარტის შემდეგ საფრანგეთის ჩემპიონატში კვლავ ორკვირიანი შესვენებაა. 17 მარტს „ლილი“ სტუმრად შეხვდება „ტულუზას“, „ნანტი“ კი უშუალო კონკურენტ „სედანს“ მიიღებს. „ბორდო“ შინ თამაშობს პსჟ-ს წინააღმდეგ, „ლიონი“ კი სტუმრად „ოსერთან“.

რა შეიძლება ითქვას ყოველივე ამის შემდეგ? ალბათ, მხოლოდ ის, რომ ჯერჯერობით ლიდერთა ჯგუფში არაფერია ნათელი. იგივე მდგომარეობაა გათამაშების ცხრილის ბოლოს, სადაც არავინ არის განწირული, მაგრამ სხვებზე უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. „სტრასბური“ (22 ქულა), „სენტ-ეტიენი“ (25), რომელიც უმკაცრესად, მთელი ექვსი ქულით დააჯარიმა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ მოთამაშეების ყალბი პასპორტების გამო, „მეცი“ (27) და „ტულუზა“ (28). „ტულუზას“ რამდენადმე უშველა 3 ქულის მომატებამ, მაგრამ მისი მდგომარეობა მაინც მძიმეა.

**ბიჭი ბამრეკელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული პლანეტა

## კახი კალაძე: ვწუხვარ, რომ ტრავმის გამო „პარმას“ წინააღმდეგ ვერ ვითამაშებ



გუშინ იტალიის სპორტული პრესის ფლაგმან „გაძეტა დელო სპორტში“ დაიბეჭდა ინტერვიუ „მილანის“ ქართველ ლეგიონერ კახი კალაძესთან, სადაც მან სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ტრავმა არ აძლევს საშუალებას ითამაშოს „პარმას“ წინააღმდეგ 4 მარტის მატჩში. „თანდათან ვეჩვევი როსონიერთა სტილს, იმედი მაქვს, რომ ისეთი ოსტატების გვერდით, როგორიცაა მალდინი, კოსტაკურტა, შევჩენკო, ბირჰოფი, ბევრს ვისწავლი“ — ამბობს ინტერვიუში კალაძე. ამასთან, აღნიშნავს, რომ კლუბი კრიზისშია და ხელმძღვანელობა გამოსავლის გზებს ეძებს.

ჩვენთვის მთავარია, კალაძემ რუმინელებთან მატჩში ითამაშოს.

რუმინელთა სამზადისის შესახებ — იხ. 4 გვ.

● თავის გუნდს „ინტერთან“ მატჩში ვერც „რომას“ კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი დაეხმარება. მან ტრავმა მიიღო არგენტინელებთან მატჩში.

## ნბა: ვენ ექსელმა დაამარცხა ყოფილი თანაკლუბელები

„დენვერის“ სნაიპერი ვან ექსელი შარშან ლოს-ანჯელესის „ლეიკერსში“ გამოდიოდა. მიუხედავად იმისა, სეზონი არ ჩაუგდია, კლუბის მეპატრონეებმა მისი გაყიდვა მოინდომეს და აი, ვენ ექსელმა ყოფილი გუნდი არ დაინდო, 27 ქულა მიითვალა და ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო მოთამაშე იყო მოედანზე. სტუმრებს ვერც კობი ბრაიანტის 38 ქულამ უშველა — „დენვერმა“ „ლეიკერსი“ დაამარცხა ანგარიშით 107:101.

სხვა მატჩები: მინესოტა — დეტროიტი 111:100, ინდიანა — მილუოკი 99:86, ატალანტა — ტორონტო 88:95, შარლოტი — ნიუ-ჯერსი 91:88, ფილადელფია — მაიამი 79:69, ჩიკაგო — ჰიუსტონი 78:95, იუტა-ვანკუვერი 101:83, ფინიქსი — ორლანდო 91:97, გოლდენ სტეიტი — საკრამენტო 101:122.

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

**ატლანტიკის დივიზიონი**

| | თ. | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 59 | 43 | 16 | 72,9 |
| ნიუ-იორკი | 56 | 33 | 23 | 58,9 |
| მაიამი | 58 | 34 | 24 | 58,6 |
| ორლანდო | 56 | 30 | 26 | 53,6 |
| ბოსტონი | 57 | 25 | 32 | 43,9 |
| ნიუ-ჯერსი | 59 | 20 | 39 | 33,9 |
| ვაშინგტონი | 58 | 13 | 45 | 22,4 |

**ცენტრალური დივიზიონი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მილუოკი | 56 | 35 | 21 | 62,5 |
| შარლოტი | 58 | 32 | 26 | 55,2 |
| ტორონტო | 58 | 31 | 27 | 53,4 |
| ინდიანა | 55 | 26 | 29 | 47,3 |
| კლივლენდი | 55 | 22 | 33 | 40,0 |
| დეტროიტი | 57 | 21 | 36 | 36,8 |
| ატლანტა | 58 | 18 | 40 | 31,0 |
| ჩიკაგო | 56 | 9 | 47 | 16,1 |

**დასავლეთის კონფერენცია**

**შუადასავლეთის დივიზიონი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| იუტა | 56 | 39 | 17 | 69,6 |
| სან-ანტონიო | 56 | 37 | 19 | 66,1 |
| დალასი | 58 | 36 | 22 | 62,1 |
| მინესოტა | 58 | 34 | 24 | 58,6 |
| ჰიუსტონი | 58 | 31 | 27 | 53,4 |
| დენვერი | 59 | 30 | 29 | 50,8 |
| ვანკუვერი | 59 | 18 | 41 | 30,5 |

**წყნარი ოკეანის დივიზიონი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პორტლენდი | 58 | 40 | 18 | 69,0 |
| საკრამენტო | 56 | 38 | 18 | 67,9 |
| ლეიკერსი | 56 | 37 | 19 | 66,1 |
| ფინიქსი | 56 | 34 | 22 | 60,7 |
| სიეტლი | 58 | 29 | 29 | 50,0 |
| კლიპერსი | 60 | 20 | 40 | 33,3 |
| გოლდენ სტეიტი | 58 | 16 | 42 | 27,6 |



*სურათზე: კობი ბრაიანტის (ცენტრში) 38 ქულამ „ლეიკერსი“ წაგებას ვერ გადაარჩინა.*

## ფორმულა-1: ავსტრალიის „გრან-პრის“ წინ...

**4 მარტს ავსტრალიის „გრან-პრით“ იხსნება მსოფლიო ჩემპიონატი „ფორმულა-1“-ში. როგორი განწყობით ხვდებიან გუნდები და მათი პილოტები ახალ სეზონს?**



● **დამდეგ** სეზონს „ბარის“ გუნდი ახალი პილოტით ეგებება ფრანგი მრბოლი ოლივიე პანისი გახდა 1997 წლის მსოფლიო ჩემპიონის, კანადელი ჟაკ ვილნევის პარტნიორი. „ალბერტ პარკის“ ტრასა მათთვის სერიოზული გამოცდა იქნება.

● **კვირას ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო დაიწყებს მეორე სეზონს „ფერარიში“. პილოტის თქმით, ახლა იგი ნაკლებად ნერვიულობს, ვიდრე 12 თვის წინათ. მაშინ ბარიკელომ სტარტი აიღო კაშკაშა, წითელ ბოლიდზე, ამჯერად გადაწყვიტა მანქანის გადაღებვა უფრო მუქი ტონებით. იქნებ ამან მოუტანოს წარმატება?**

● **„მინარდის“** პილოტები ახალი ბოლიდით — PS01-ით იასპარეზებენ. ამბობენ, რომ იგი ძველს აეროდინამიკური თვისებებით სჯობს, თუმცა ვნახოთ...

● **„მაკლარენი“ ავსტრალიის „გრან-პრის“ ოპტიმისტურად ხვდებიან: 1997 წლის სეზონის სტარტზე დევიდ კულთჰარდტმა როგორც იქნა ასპარეზობათა უიღბლო სერია შეწყვიტა და გაიმარჯვა. ეს სწორედ აქ, „ალბერტ პარკზე“ მოხდა.**

● **„მინარდისა“** არ იყოს, „ზაუბერის“ გუნდიც ახალი ბოლიდით გამოვა ავსტრალიაში. C-20-მა მრავალი ტესტ-გამოცდა წარმატებით გაიარა.

● **სხვა პილოტებისგან განსხვავებით, ფინელი მრბოლი მიკა ჰაკინენი ახალ სეზონს უოპტიმიზმოდ ხვდება. მისი თქმით, სხვა გუნდებმა ძლიერ გააუმჯობესეს თავიანთი მანქანები, განსაკუთრებით ეს ითქმის მიხაელ შუმახერის ბოლიდზე. „გერმანელის დამარცხება ძალიან გამიჭირდება, თუმცა ჩემსას მაინც ვეცდები“ — აცხადებს ჰაკინენი.**

● **„ჯორდანის“** გუნდის 250 წევრი იმედოვნებს, რომ შარშანდელი ფიასკო წარსულს ჩაბარდა, პილოტი ჰაინც-ჰარალდ ფრენტცენი თვლის, რომ გადაკეთებული ბოლიდით წარმატებას მიაღწევს: „ავსტრალიის ტრასა კარგად მაქვს დაცდილი, აქ ჰავაც ისეთია, მე რომ მიყვარს, თუ ბოლიდმა არ მიმტყუნა, პირველ ხუთეულში მოვხვდები“.

● **„ალბერტ პარკზე“ „უილიამსის“ ახალი პილოტის, კოლუმბიელ ხუან პაბლო მონტოიეს დებიუტი შედგება. ამბობენ, თავისი შესაძლებლობებით მას შეუძლია ღირსეული კონკურენცია გაუწიოს მსოფლიოს რჩეულ მრბოლებს.**

● **ავსტრალიაში** ოთხი ბოლიდი „ჰონდას“ ძრავით იქნება აღჭურვილი — „ბარის“ და „ჯორდანის“ გუნდებმა სწორედ მას მისცეს უპირატესობა. თუ იაპონელთა ნახელავმა გაამართლა, სხვა მანქანებიც „ჰონდათი“ „მოიკაზმებიან“.

● **„ფერარის“ პილოტი, სახელგანთქმული გერმანელი მრბოლი მიხაელ შუმახერი საყოველთაო ყურადღების ცენტრშია. მსოფლიო ჩემპიონობის უცილობელი ფავორიტი დღეს ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენია — ამბობენ, მისი წლიური შემოსავალი 25 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს. შუმახერი ოპტიმიზმით ხვდება ახალ სეზონს და ამბობს, ავსტრალიაში გამარჯვებით საფუძველს შევიქმნი ჩემი ახალი ტრიუმფისთვისო.**

## „ფორმულა-1“-ს მალე რუსებიც უმასპინძლებენ

*როგორც ეტყობა, რუსეთი ახლოსაა, რათა უკვე 2003 წელს უმასპინძლოს „ფორმულა-1“-ის „გრან-პრის“.* შარშან „ეროუზის“ მეპატრონის ტო უოკინშოუს დახმარებით შედგა ავტოდრომის პროექტი. ტრასა მოსკოვის მიდამოებში, ნაგატინსკაია პოიმაში გაშენდება, სამუშაოები უკვე წლეულსვე მაისში დაიწყება. იტყობინებიან, რომ ჯერ თავად ტრეკი კეთილმოეწყობა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიქმნება ავტოდრომის მთელი ინფრასტრუქტურა.

ამ დღეებში ახალი ავტოდრომის მშენებლობის საკითხის გასარკვევად რუსეთის დედაქალაქში ჩამოვიდა „ფორმულა-1“-ის სულისჩამდგმელი ბერნი ეკლსტოუნი. იგი შეხვდა ქვეყნის მთავრობის ვიცე-პრემიერს, მოსკოვის მერს და სხვადასხვა უწყებათა ხელმძღვანელებს. ეკლსტოუნის განცხადებით, ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, დარწმუნებული ვარ, რომ ორ წელიწადში რუსეთში შესანიშნავი ნაგებობა იქნება და იგი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ტრასა იქნებაო.

## ველორბოლა: ცაბელმა გაილაღა

გრძელდება მრავალდღიანი ველორბოლა „Comunidad Valencia“. მეორე ეტაპი მეტად რთულ კლიმატურ პირობებში მიმდინარეობდა, ძლიერმა ქარმა აიძულა რამდენიმე სპორტსმენი ასპარეზობას ჩამოცილებოდა.

მე-15 კილომეტრზე ძირითადი ჯგუფიდან დაწინაურდნენ ესპანელი ერმან ნიეტო და იტალიელი როსჩოლი. 143-ე კილომეტრზე ძირითადი ჯგუფი დაეწია მათ. ეტაპი კი ძლიერი საფინიშო სპურტით მოიგო ცნობილმა გერმანელმა მრბოლმა ერიკ ცაბელმა. მეორე შედეგი აჩვენა იტალიელმა ბიაჯო კონტემ, მესამე — ამერიკელმა ჯორჯ ჰინკეიპმ.

## პროფესიული კრივის სამყაროში

## ლას-ვეგასზე უარი თქვა

მორიგ ბრძოლას იბფ-სა და ვბც-ს ვერსიებით მსოფლიო ჩემპიონის ქამრის შესანარჩუნებლად ცნობილი ბრიტანელი სუპერმძიმეწონოსანი ლენოქს ლიუისი 21 აპრილს გამართავს იოჰანესბურგში ამერიკელ ხასიმ რახმანთან. ლიუისის მენეჯერმა ფრენკ მელონიმ თქვა, რომ ჩემპიონმა როგორც კი მიიღო ნელსონ მანდელას მიწვევა ბრძოლის სამხრეთ აფრიკაში ჩატარებაზე, უყოყმანოდ თქვა უარი რახმანთან ლას-ვეგასში შეხვედრაზე.



## ჰოლიფილდმა ნივთიერებათა ცვლის პრობლემა დაარეგულირა და საბრძოლველად ემზადება

შაბათს, 3 მარტს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, მძიმეწონოსანი ევანდერ ჰოლიფილდი ლას-ვეგასში WBA-ს ჩემპიონის ტიტულისათვის შეებრძოლება ჯონ რუისს. ყველას კარგად ახსოვს, რომ შარშან ამ მოკრივეების აბსოლუტურად თანაბარ ბრძოლაში მსაჯებმა გამარჯვება ევანდერს მიანიჭეს. მაშინ რუისს ჟურნალისტებთან საუბარში არც დაუმალავს უკმაყოფილება. მსაჯებმა „დამწვესო“. სწორედ ამიტომ დავთანხმდი მატჩ-რევანშზე, — განაცხადა გუშინ მოქმედმა მსოფლიო ჩემპიონმა და დასძინა, — რუისს შანსი მივეცი დაამტკიცოს თავისი სიძლიერე. და მაინც, წარმატებაში ეჭვი არ მეპარება. ყველას ვურჩევ არ მოსცილდეს ტელევიზორს — არ გამოგეპაროთ ეფექტური ნოკაუტი და იატაკზე გაშხლართული რუისი“.

მიმომხილველთა აზრით, 38 წლის ჰოლიფილდი სერიოზულად ფიქრობს მოიპოვოს პროფესიონალურ კრივში ყველა არსებული ტიტული. ერთადერთი, რაც მას აწუხებდა, ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის მოშლა იყო. ახლა ეს პრობლემაც მოაწესრიგა და საბრძოლველად ემზადება.

## დოპინგი: დანაშაული თავის თავზე აიღო

**მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც წელს ფინეთში ჩატარდა, ყველაზე დიდი სენსაცია მასპინძელთა გუნდის ოთხი სპორტსმენისა და მთავარი მწვრთნელის დისკვალიფიკაცია გახდა. მიზეზს თავად მიხვდებით — დოპინგის გამოყენება.**

**როდესაც ვნებები ჩაცხრა, ფინეთის ნაკრების შერისხულმა თავკაცმა კარი-პეკა კირომ აღიარა თავისი დანაშაული მომხდარ სკანდალში: „მინდა ყველას მოვუბოდიშო, ჩვენ წარმატების მიღწევა არაკანონიერი გზით მოვინდომეთ და სამართლიანად დაგვსაჯეს“.**

**კირომ განაცხადა, რომ ოთხივე დისკვალიფიცირებული მოთხილამურე ღებულობდა პრეპარატს, რომელიც ამცირებდა სისხლის კონცენტრაციას.**

## ბიატლონი: ნორვეგიელის უპირატესობით

ამერიკის ქალაქ სოლტ-ლეიკ-სიტიში გრძელდება მსოფლიო თასის გათამაშება ბიატლონში. ვაჟები 20 კილომეტრიან (ოთხი საცეცხლე პოზიციით) დისტანციაზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ოქროს მედლის მფლობელი გახდა ნორვეგიელი ოლე-ეინარ ბიორნდალენი. რაც შეეხება რბოლის ფავორიტს ფრანგ რაფაელ პუარეს, მან სრული ფიასკო განიცადა და ფინიშზე მხოლოდ 33-ე შედეგი აჩვენა.

**ტექნიკური შედეგები**

1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) — 49.01,4 (2 აცილება).
2. სვენ ფიშერი (გერმანია) — ჩამორჩენა — 10,0 (1)
3. ჟულიენ რობერი (საფრანგეთი) — 19,3 (0).

ამავე დისციპლინაში, 15-კილომეტრიან დისტანციაზე პირველობა გაითამაშეს ბიატლონისტმა ქალებმაც. აქ ბადალი არ ჰყავდა შვედ მაგდალენა ფორსბერგს.

**ტექნიკური შედეგები**

1. მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი) — 43.02,6 (0 აცილება)
2. მარტინა ცელნერი (გერმანია) — ჩამორჩენა 37,6 (1)
3. მარტინა გლაგოვი (გერმანია) — 1.10,8 (1).

# პირველი გამარჯვებები მეოთხე ტურში!

ლინარესის სუპერტურნირი, ცოტა არ იყოს, უცნაურად დაიწყო: პირველ სამ ტურში ცხრავე პარტია ყაიმით დასრულდა. ერთი სიტყვით, მას არც ლიდერი ჰყავდა და არც აუტსაიდერი!

აი, მეოთხე ტურში კი ბრძოლა რამდენადმე გამწვავდა: გარი კასპაროვმა (რუსეთი) მოუგო 17 წლის თანამემამულე ალექსანდრ გრიშჩუკს, ხოლო იუდით პოლგარმა (უნგრეთი) სძლია ალექსეი შიროვს (ესპანეთი). საინტერესოა, რომ ადრე პოლგარი დიდი წარმატებით თამაშობდა შიროვის წინააღმდეგ და დადებითი შედეგიც ჰქონდა, შარშან კი, როცა საქმე პირად შეხვედრამდე მივიდა, შიროვმა იუდითი გამანადგურებელი ანგარიშით 5,5:0,5 დაამარცხა. ეს, ცხადია, პოლგარმა არ დაივიწყა და... კიდევ ერთ პარტიაში ანატოლი კარპოვი (რუსეთი) და პეტერ ლეკო (უნგრეთი) ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, 4 ტურის შემდეგ კასპაროვსა და პოლგარს 2,5-2,5 ქულა აქვთ, კარპოვსა და ლეკოს — 2-2, ხოლო შიროვსა და გრიშჩუკს — 1,5 — 1,5 ქულა.

# რად უნდა კულტურისტს კიტრი?

არის ასეთი კულტურისტი, სახელად დევიდი, გვარად კერი. იგი შოტლანდიის დედაქალაქ გლაზგოში ცხოვრობს. ჩვენში რომ ვთქვათ, ცოტა უცნაურად იქცეოდა — შევიდოდა ცარიელ დარბაზში და მუსიკის თანხლების გარეშე ცეკვავდა, ხშირად კი ფოტოაპარატს ავტომატურ რეჟიმში დააყენებდა და გაუთავებლად იღებდა თავის თავს. თუმცა, ეს მისი პირადი საქმეა, ყველას თავისი ოფოფები ჰყავს.

ერთხელ მოხდა ასეთი ამბავი. ორი მანდილოსანი სავარჯიშო დარბაზში შევიდა, სადაც ათლეტი კერი სხვა და სხვა პოზაში იღებდა სურათებს. უცებ ქალებმა შეამჩნიეს... რომ დევიდის ტრუსიდან გამოვარდნასაა უცნაურად დიდი საგანი. სუსტი სქესის წარმომადგენლები შეშინებულები გავარდნენ გარეთ — არიქა, არ გაგვაუპატიუროსო. ბედად, პოლიციელები ახლოს აღმოჩნდნენ. ისინი ჯიქურ მიეჭრნენ კულტურისტს და ტრუსიდან ამოუღეს..., ვერა, ვერასდროს მიხვდებით — მოზრდილი ზომის კიტრი! პოლიციის განყოფილებაში კერიმ განაცხადა, რომ სრულებითაც არ სურდა ქალების შეშინება: უბრალოდ, ფოტოს ვიღებდი, მაინტერესებდა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ნაცნობ გოგონებშიო. დასაჯეს თუ არა წერსიგის დამცველებმა კულტურისტი, არ იტყობინებიან.



# ნავრატილოვა 7 ტურნირში ითამაშებს

*გამოჩენილ ამერიკელ ჩოგბურთელ მარტინა ნავრატილოვას ოქტომბერში 45 წელი შეუსრულდება. ამის მიუხედავად იგი სულაც არ აპირებს ჩოგბურთის მიტოვებას და წლეულს 7 ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ეს ასპარეზობებია მაიამისა და ამელია-აილენდში (აშშ), ბერლინში, რომში, პარიზის „როლან გაროსში“, აგრეთვე ისტბორნსა და უიმბლდონში (ინგლისი).*

*ნავრატილოვას ეკუთვნის მსოფლიო რეკორდი – გაიმარჯვა 167 საერთაშორისო ტურნირში ერთეულთა შორის.*



# ჯეკი ჯოინერ კერსი სპორტს თავს ანებებს




როგორც აშშ-ს მძლეოსნობის ფედერაციამ თავის შტაბ-ბინაში, ინდიანაპოლისში განაცხადა, ამიერიდან დიდი სპორტიდან მიდის უდიდესი მძლეოსანი, 6 ოლიმპიური მედლის მფლობელი ჯეკი ჯოინერ-კერსი.

საინტერესოა, რომ ჯეკი ჯოინერ-კერსიმ, რომელიც ახლა 38 წლისაა, ჯერ კიდევ 1998 წელს განაცხადა, რომ წყვეტდა გამოსვლებს, მაგრამ შარშან გადათქვა, შეეცადა მოხვედრილიყო აშშ-ს ნაკრებში, რომელიც ოლიმპიადაზე მიემგზავრებოდა სიდნეიში, მაგრამ საკრამენტოს შესარჩევ შეჯიბრებაზე მარცხი იწვნია.

# იქაც მიმართავენ თურმე ქურდებს დახმარებისთვის

საერთოდ, როცა რაიმე დაიკარგება და პოლიცია უძლურია, დახმარებისთვის ქურდებს მიმართავენ. გვეგონა, ასეთი რამ მარტო საქართველოში ხდება, მაგრამ შევმცდარვართ, საილუსტრაციოდ ერთ ამბავს მოგითხრობთ, რომელიც „სკუადრა აძურას“ ფეხბურთელებს შეემთხვათ ამ დღეებში. არგენტინის ნაკრებთან მატჩის წინ. ალესანდრო დელ პიერო და ფილიპო ინძაგი. რომის აეროპორტ „ფიუმიკონში“ შეხვდნენ ერთმანეთს და სანამ ქალაქში გამოემგზავრებოდნენ, რამდენიმე წუთი იბაასეს. სწორედ ამ დროს შეამჩნიეს ჩანთების დაკარგვა (ეტყობა, ქურდებმა ისინი ზედმეტად მყვირალა ფერით გამოარჩიეს).

ალესანდრომ და ფილიპომ დახმარებისათვის პოლიციას მიმართეს. სამართალდამცავებმა, როგორც ეს სჩვევიათ, დაზარალებულები დააიმედეს – თქენ შეკრების ადგილას, ოლიმპიური სტადიონისკენ გასწიეთ, ჩვენ კი დაკარგულ ბარგს გიპოვნით და უკან დაგაწევთო. სამწუხაროდ, იტალიელი პოლიციელები ცუდი პროფესიონალები გამოდგნენ და ფეხბურთელებმა ბოლოს დახმარებისათვის ქურდული სამყაროს ავტორიტეტებს მიმართეს. იქ გულთან ახლოს მიიტანეს სპორტსმენების გასაჭირი და ზუსტად მაშინ მიართვეს დაკარგული ჩანთები, როცა ისინი მინდორზე გასასვლელად ემზადებოდნენ.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**3 მარტი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა (19.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (22.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა (12.10). მოტორბოლა ყინულზე. მსოფლიოს პირადი ჩემპიონატი (15.20, 20.50), კალათბურთი. ევროლიგის მიმოხილვა (17.30), „დიდი რინგი“ (21.50). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (11.30, 12.00), ფეხბურთი: ინგლისის — „ლიდსი“ — „მანჩესტერი“ (15.30, 19.00), იტალიის (23.30, პირდაპირი) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი. (12.30, 15.45, 17.45, 20.45, 23.15), ცხენოსნობა. მსოფლიო თასის ეტაპი (1.00), ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის (13.15, 18.25), ევროპის ქვეყნების (15.00), შოტლანდიის (16.00), მინიფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის (20.35), ჰოლანდიის (21.35), იტალიის ან ესპანეთის (23.30, 1.35) ჩემპიონატები და მიმოხილვა.

**4 მარტი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (19.20), ევრიკა „მსოფლიო სპორტი“ (23.30), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.25), ***НТВ плюс спорт.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი. (10.55, 12.55), ცხენოსნობა. კონკური (21.15), კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი (21.15), ***ESPN.*** ფეხბურთი: ინგლისის (07.00, 20.00, 01.00), იტალიის (14.30), ჩემპიონთა ლიგის (18.00) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.30, 14.00, 19.00, 22.00), ცხენოსნობა. მსოფლიო თასის ეტაპი (17.45), ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის (13.15), იტალიის (15.10), მინიფეხბურთში. ევროპის (16.50), ესპანეთის (17.50), ჰოლანდიის (19.55), საფრანგეთის (22.30), იტალიის (23.25), ესპანეთის (1.35) ჩემპიონატები და მიმოხილვა.

# კროსვორდი №17

**თარაზულად:** 5. ძიუდოისტთა სარბიელი, 6. შეჯიბრების დასაწყისი, 10. მოგება ნარდში, 11. საქართველოს 2000 წლის რჩეული სპორტსმენი, 12. ბავშვთა საფეხბურთო კლუბი, 13. წარსულში შვედი ჩოგბურთელი ვაჟი, 17. ცურვის ყაიდა, 19. „ბაიერნის“ ფეხბურთელი, 20. ფოთის სტადიონი, 21. რუსთავის საკალათბურთო გუნდი, 25, ცხენის აღკაზმულობის ნაწილი, 26. თბილისის „დინამოს“ ცნობილი სპორტული ექიმი, 27. საქართველოს და შვეიცარიის საფეხბურთო კლუბების სახელწოდება, 30. შეფასება ძიუდოში, 32. წარსულში საქართველოს ცნობილი ტანმოვარჯიშე ქალი, 33. რუმინელი ფეხბურთელი, მცველი, 34. საფრანგეთის ცნობილი ფეხბურთელი, 35. რუმინელი ფეხბურთელი, მეკარე.

**შვეულად:** 1. კალათბურთის ატრიბუტი, 2. ტერმინი რაგბში, 3. რუმინელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 4. საჭადრაკო ფიგურა, 7. საფრანგეთის საკალათბურთო კლუბი, 8. ფრანგი ფეხბურთელი, ფორვარდი, 9. ინგლისელი მოჭადრაკე ვაჟი, 14. ოსი ფეხბურთელი, ამჟამად მწვრთნელი, 15. ცნობილი ამერიკელი პროფესიონალი მოკრივე, 16. ახლო წარსულში ამერიკელი პროფესიონალი მოკრივე, 18. „ჩელსის“ საფეხბურთო მწვრთნელი, 22. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი, 23. ჩელსის საფეხბურთო მწვრთნელი, 24. წარსულში დონეცკელი ფეხბურთელი, მეკარე, 28. პოლონეთის საფეხბურთო კლუბი, 29. ნიგერიელი ფეხბურთელი, ფორვარდი, 31. იამაიკელი მორბენალი ქალი, 33. შეფასება ძიუდოში.

## №16 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. ლასკერი, 7. ფრეზერი, 8. ალთაბაევი, 11. ონილი, 12. ფინტი, 13. ბეილი, 16. კორიდა, 17. „იბერია“, 21. იმოლა, 22. ჩანგი, 23. დვირი, 26. არველაძე, 27. იხტიოლი, 28. ჰინგისი. **შვეულად:** 1. იალქანი, 2. კროლი, 3. კრივი, 4. ბრუმელი, 6. „ციბონა“, 9. ალბერვილი, 10. „დეპორტივო“, 14. ბადრო. 15. დუბლი, 18. ემერიხი, 19. ანელკა, 20. ურსაისი, 24. კროლი, 25. კენია.

# მსოფლიოს ჩოგბურთელ ვაჟთა ინდივიდუალური რეიტინგი

(განვლილი 52 კვირის შედეგების მიხედვით)

1. მარატ საფინი (რუსეთი) — 4265. 2. გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) — 4225. 3. პიტ სამპრასი (აშშ) — 3085. 4. ანდრე აგასი (აშშ) — 2765. 5. მაგნუს ნორმანი (შვეცია) — 2755. 6. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — 2550. 7. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) — 2485. 8. ალექს კორეტჯა (ესპანეთი) — 2415. 9. თომას ენკვისტი (შვეცია) — 2145. 10. ტიმ ჰენმანი (ინგლისი) — 2020. 11. პატრიკ რაფტერი — (ავსტრალია) — 1985. 12. არნო კლემანი (საფრანგეთი) — 1910. 13. სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) — 1760. 14. დომენიკ ჰრბატი — (სლოვაკია) — 1755. 15. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) — 1645. 16. უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) — 1585. 17. ფრანჩესკო სკუილარი (არგენტინა) — 1558. 18. მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — 1550. 19. სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) — 1345. 20. მარიანო პუერტა (არგენტინა) — 1230. 21. ტომი ჰაასი — (გერმანია) — 1210. 22. მარსელო რიოსი (ჩილე) — 1165. 23. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — 1150. 24-25 ნიკოლას ლაპენტო (ეკვადორი) — 1130. ანდრეი პაველი (რუმინეთი) — 1130. 26. კარლოს მოია (ესპანეთი) — 1120. 27. სიერგ შალკენი (ჰოლანდია) — 1073. 28. ჟან-მიშელ გემბილი (აშშ) — 1070. 29. გასტონ გაუდიო (არგენტინა) — 1040. 30. თომას იუჰანსონი (შვეცია) — 1020 ქულა და ა.შ.

# მორიგი სიკვდილის ამოუცნობია

რუმინეთის პოლიციამ დახურა ბუქარესტის „დინამოს“ ფეხბურთელის კატალინ ხალდანის ბნელით მოცული დაღუპვის საქმე. გამომძიებლებმა და მედიკოსებმა მაინც ვერ გასცეს ამომწურავი პასუხი ფეხბურთელის უეცარი სიკვდილის მიზეზზე. ოქტომბერში, გუნდის ერთ-ერთ ვარჯიშზე გონება დაკარგა ქვეყნის ჩემპიონის კაპიტანმა და ჰოსპიტალისაკენ გზად გარდაიცვალა. მთელი რიგი დამახასიათებელი სიმპტომების მიუხედავად, არ დადასტურდა მიოკარდის ინფარქტის დიაგნოზი. ხალდენის სიკვდილი მით უფრო უცნაურია იმასთან დაკავშირებით, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში რუმინულ ფეხბურთში რამდენიმე მსგავსი შემთხვევა აღინიშნა. 1999 წელს ასევე მოულოდნელად გარდაიცვალა ვარჯიშზე „ასტრის“ მოთამაშე შტეფან ვრაბიორუ. სიკვდილის მიზეზი ვერ დაადგინეს. უფრო ადრე, ოფიციალურ თამაშებში, სხვადასხვა ვითარებაში, სიცოცხლეს გამოესალმა ოთხი ფეხბურთელი.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. გამულაშვილი



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლh3! 1. ...a4 2. ლ:a3X. 1. ...b4 2. ლf5X. 1. ...მფb4 2. ლc3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.